განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 08.10.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 22.11.2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201951637
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საერთაშორისო ურთიერთობები International Relations
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი Bachelor of International Relations
უმაღლესი განათლების საფეხური	მე-6
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	პოლიტიკის მეცნიერება და მოქალაქეობრიობის საფუძვლები, 0312
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტირებული გადაწყვეტილება No. 685, 20.11.2012

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

1 ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ფავლენიშვილი - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ფიქრია ასანიშვილი - სსიპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა ქურდაძე - სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნუცა წამალაშვილი - სსიპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

წარმოდგენილმა საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ პირველად აკრედიტაცია მიიღო 20.11.2012-ში No.685 გადაწყვეტილებით.

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამამ არსებობის მანძილზე განიცადა ცვლილებები. ძირითადი ცვლილებები განხორციელდა 2020 წლის სექტემბრიდან. პროგრამის მოდიფიცირების მიზანი იყო მისი გაძლიერება, რათა ემოქმედა უფრო ეფექტურად დარგის კარგი სპეციალისტების გამოსაშვებად. აღნიშნულის მიღწევა მოხდა პროგრამისათვის ახალი კურსების (როგორც საფაკულტეტო, ისე სპეციალობის), სფეროს პრაქტიკული საგნების დამატებით და ინტერნაციონალიზაციის გაფართოებით. ბაზრის კვლევებისა და დამსაქმებლებთან შეხვედრების შემდეგ, უსდ-მ გადაწყვიტა, რომ პროგრამა ფოკუსირებული ყოფილიყო ენის კომპონენტის გაძლიერებაზე. სტუდენტებს, რომელთაც ეროვნულ გამოცდებზე არ აქვთ ჩაბარებული ინგლისური ენა, დაემატებათ ერთი სემესტრი კურსით, *ინგლისური ენა დამწყებთათვის* (3 სემესტრი ორის ნაცვლად; შესაბამისად, 15 კრედიტი 10-ის ნაცვლად. 5 კრედიტი გადასახადის გარეშე). ამასთან, პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნას და სტუდენტს სავალდებულო სტატუსით სთავაზობს მეორე უცხო ენას. პროგრამის მიზანია, რომ სტუდენტი საბაკალავრო პროგრამის დასრულებისას სრულყოფილად ფლობდეს ორ უცხო ენას. პროგრამის განმახორციელებლები თვლიან, რომ ამგვარად კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობა და მათზე მოთხოვნა შრომით ბაზარზე გაიზრდება. ამავდროულად, ხდება სტუდენტთა წახალისება, რათა მათ შეისწავლონ პოლონური და ესპანური ენები უფასოდ. მათ სთავაზობენ სასწავლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მოანაწილეობას უსდ-ს დაფინანსებით პოლონეთისა და ესპანეთის უნივერსიტეტებში.

სტუდენტის კვლევითი უნარის გასავითარებლად პროგრამას საფაკულტეტო სავალდებულო სტატუსით დაემატა კურსი - *სოციალური მეცნიერებების მონაცემთა ანალიზი - SPSS მეთოდით* (ალბათ, უფრო სწორია **პროგრამით**).

აქცენტი გაკეთდა პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებაზე. შესაბამისად, მოხდა მისი გამდიდრება სპეციალობის პრაქტიკული კურსებით. *პრაქტიკის* კურსი გახდა სავალდებულო. უსდ-მ გაზარდა პრაქტიკის კურსში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობა ახალი მემორანდუმების გაფორმებით.

პროგრამის დასასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი; მან უნდა გაიაროს სწავლის ძირითადი სფეროს სასწავლო სავალდებულო (139 კრედიტი) და არჩევითი (27 ECTS) კურსები, თავისუფალი სასწავლო კურსები (სავალდებულო, 44 კრედიტი (უცხო ენები) და არჩევითი, 20 კრედიტი) და დაწეროს საბაკალავრო ნაშრომი (სავალდებულო, 10 კრედიტი). საბაკალავრო პროგრამა ორენტირებულია სფეროს ცოდნისა და პრაქტიკული უნარებით სრულყოფილად აღჭურვილი პროფერსიონალის შექმნაზე.

პროგრამის მიზანია, გაითვალისწინოს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისა და ტენდენციების ცვალებადობა. ამ მიზნით, პროგრამის ფარგლებში ისწავლება ისეთი პრაქტიკული კურსები, როგორიცაა *ტერორიზმი და კონტრტერორიზმი, საერთაშორისო ორგანიზაციები კონფლიქტების მართვის პროცესში, პოლიტიკური სისტემები* და *საერთაშორისო ორგანიზაციები ახლო აღმოსავლეთში* და სხვა. პროგრამის მე-8 სემესტრში სტუდენტს ევალება დაწეროს საბაკალავრო ნაშრომი (სავალდებულო სტატუსით). აღნიშნული აქტივობის მიზანია სტუდენტმა შეიძინოს და განივითაროს კვლევითი, წერითი და კრიტიკული აზროვნების უნარები.

პროგრამის შედგენის პროცესში მისი წარმატებული განხორციელებისათვის მოხდა უცხოეთში მოქმედი ანალოგიური პროგრამების გამოცდილების გაზიარება და, აგრეთვე, მისი შედარება ქართულ უნივერსიტეტებში არსებულ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამებთან. წარმოდგენილი პროგრამა შეაფასა ორმა გარე ექსპერტმა (დარგის ადგილობრივმა წარმომადგენელმა).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრეტაციის ვიზიტამდე შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ზუმ-შეხვედრა. შეხვედრის მიმდინარეობისას მოხდა პროგრამის დოკუმენტებზე დეტალური მსჯელობა და სტანდარტების გადანაწილება; შედგა ინტერვიუებისათვის სავარაუდო კითხვების მონახაზი.

ზუმ-ვიზიტი დაიწყო 10:20 საათზე (08.10.2021) კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში. პირველ შეხვედრა შედგა პროგრამის ხელმძღვანელთან. საუბარი შეეხო პროგრამის სტრუქტურას, კურსების დაბალანსების, კონკრეტულად კი, საგნებისათვის სავალდებულო და არჩევითი სტატუსის მინიჭების, პრინციპს; კვლევის მეთოდოლოგიის კურსებს, საბაკალავრო თემაზე მუშაობის მიმდინარეობას, ლექტორთა ტრენინგებში მონაწილეობას, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა კვლევითი პროცესის გაძლიერების ინსტრუმენტებს; სტუდენტთა წახალისებისა და ფინანსური დახმარების მექანიზმებს და სხვა. პროგრამის ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა, რომ პროგრამა მუდმივად ვითარდება მსოფლიო

პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით და გამოწვევის შესაბამისად ხდება პროგრამის სტრუქტურის, საგნების, სილაბუსების გადახედვა, გადახალისება და ახალი კურსების დამატება მოთხოვნის მიხედვით (მაგალითად, საბაკალავროს დაცვა გახდა სავალდებულო სტუდენტების მოთხოვნის შესაბამისად, რათა გაიოლდეს მათთვის სწავლის გაგრძელება უცხოეთის უნივერსიტეტებში).

შემდეგ, აკრედიტაციის ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, რომელიც წარმოდგენილი იყო უსდ-ს რექტორით, კანცლერით, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანით. საუბარი შეეხო საერთაშორისო ურთიერთობათა საბაკალავრო პროგრამის მნიშვნელობას, როგორც უნივერსიტეტისათვის, ისე ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის. რექტორმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილმა პროგრამამ ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ფუნქციონირება ქართულ საგანმანათლებლო სფეროში. პირველი აკრედიტაციის მიღების შემდეგ, ის მუდმივად ვითარდება ახალი გამოწვევების შესაბამისად. მან ხაზი გაუსვა, რომ უსდ-სთვის საერთაშორისო ურთიერთობის პროგრამა მნიშვნელოვანია, ამიტომ საჭიროების შემთხვევაში უსდ მზადაა უზრუნველყოს პროგრამის ფინანსური სტაბილურობა.

მესამე შეხვედრის დროს აკრედიტაციის ჯგუფი გაესაუბრა თვითშეფასების ჯგუფის წევრებს:

უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსს, იურიდიული სამსახურის უფროსს, პერსონალის მართვის სამსახურის უფროსს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის კოორდინატორს, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულსა და სტუდენტს. ინტერვიუების დროს თვითშეფასების ჯგუფის წევრები შეეხნენ ჯგუფის მუშაობის ფორმატს, კონკრეტული წევრებისათვის დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს პროგრამის თვითშეფასების პროცესზე მუშაობისას. ამავე შეხვედრაზე აკრედიტაციის ჯგუფი გაეცნო აკადემიური პერსონალის შიდა და გარე შეფასების მექანიზმებს, სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტებს მათი ქმედითუნარიანობის შესაფასებლად. დაისვა კითხვები, თუ როდის და როგორ ხდება სტუდენტთა ინფორმირება სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება შედგა მეოთხე და მეხუთე შეხვედრებისას, შესაბამისად.

შესვენების შემდეგ, დათვალიერდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. უსდ ინფრასტრუქტურულად გამართულია და მორგებულია სტუდენტების მოთხოვნებზე; ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ სტუდენტი იყოს მოტივირებული და მისი სწავლის

შედეგი იყოს მაღალი ხარისხის. უსდ-ში ფუნქციონირებს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საგამოცდო ცენტრი. სამი ახალი ცენტრის აღჭურვა პროცესშია და დასრულდება სასწავლო წლის დაწყებისათვის. ბიბლიოთეკის დათვალიერებისას, ბიბლიოთეკის დირექტორმა გვაჩვენა კონკრეტულად პროგრამისთვის შეძენილი წიგნები; მათი უმრავლესობა გაციფრებულია. სტუდენტს ბიბლიოთეკაშიც და დისტანციურადაც უსდ-ს ელ-პლატფორმის გამოყენებით მარტივად შეუძლია სასურველი წიგნის მოძიება. ელ-ვერსიის არარსებობის შემთხვევაში, ბიბლიოთეკის თანამშრომელს სტუდენტი უგზავნის მოთხოვნას, რის საფუძველზეც ხდება საჭირო მასალის სკანირება და მიწოდება. ბიბლიოთეკა ფლობს მნიშვნელოვან აკადემიურ ელექტრონულ ბაზებს.

დღის მეორე ნახევარი დაეთმო შეხვედრებს პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან.

შეხვედრების დასრულების შემდეგ ექსპერტებმა იმსჯელეს ვიზიტზე, შეაფასეს მიგნებები და გაუზიარეს ისინი უსდ-ს წარმომადგენლებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ვიზიტის, დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუების შედეგად მივიღეთ სტანდარტების შემდეგი შესაბამისობა:

- შესაბამისობაშია: 1.1, 2.1. 2.5; 3.1; 4.1,4.3, 4.4; 5.1, 5.2, 5.3
- მეტწილად შესაბამისობაშია: 1.2, 2.2, 2.3, 2.4, 2.6; 4.2

რეკომენდაციები:

1. **რეკომენდებულია**, პროგრამის სტრუქტურის შეცვლა - მისი დაბალანსება თეორიული და პრაქტიკული საგნებით, რათა სტუდენტს პროგრამის დასრულების შემდეგ ჰქონდეს სპეციალობის ის ცოდნა და უნარი, რომელიც ბაზრის/დამსაქმებლის მოთხოვნას შეესაბამება. შედეგად, მოხდება პროგრამის მიზნის შედეგზე გასვლა,

2. **რეკომენდებულია,** გარდაიქმნას *სოციალური კვლევის მეთოდების*, ხოლო *აკადემური წერის* კურსი გახდეს სავალდებულო,

3. **რეკომენდებულია,** კურსების მისადაგება დამსაქმებლების რეკომენდაციებთან და მოთხოვნებთან (დამსაქმებლების რჩევით დამატებულ საგნებს მიენიჭოს სავალდებულო სტატუსი),

4. **რეკომენდებულია,** პროგრამას დაემატოს კურსი - ეკონომიკის შესავალი/საფუძვლები ან მოხდეს *საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების* კურსის მოდიფიცირება (მას დაემატოს ეკონომიკის საფუძვლის შემქმნელი ძირითადი ელემენტები),

5. **რეკომენდებულია,** პროგრამას დაემატოს საგანი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები,

6. **რეკომენდებულია,** რიდერის ყოველ სავალდებულო წასაკითხ თემას ახლდეს ლიტერატურა, რომელაც ის ეყრდნობა ან იყენებს,

7. **რეკომენდებულია,** შეივსოს სილაბუსები დარგის უახლესი ლიტერატურით,

8. **რეკომენდებულია,** დაემატოს კურსის საკითხავ მასალას ინგლუსურენოვანი ლიტერატურა,

9. **რეკომენდებულია,** ითარგმნოს დარგის ცნობილი ინგლსურენოვანი სახელმძღვანელოები და აკადემიური წიგნები ქართულ ენაზე,

10. **აუცილებელია**, რომ გაძლიერდეს სტუდენტთა კვლევითი უნარები, მათ საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ *კვლევის მეთოდოლოგიები* და კვლევის კონკრეტული ტექნიკები,

11. **რეკომენდებულია** *კვლევის მეთოდების სოციალურ მეცნიერებებში* (საფაკულტეტო სავალდებულო, უფრო მეტადაა აქცენტირებული მედიის საკითხებზე; სასურველია იყოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის მეცნიერების საკითხებზე) კურსის გარდაქმნა და მორგება უშუალოდ კვლევის თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდოლოგიებსა და მეთოდებზე (მეტად თვისებრივ მეთოდებზეზე, რადგან *სოციალურ მეცნიერებების მონაცემთა ანალიზი - SPSS-ის მეთოდით* არის მიფრო მეტად რაოდენობრივ კვლევაზე ორიენტირებული),

12. **რეკომენდებულია** საბაკალავრო თემის სათაურების დაკონკრეტება და საბაკალავრო დონისათვის მისადაგება და ნაშრომის გვერდების რაოდენობის გაზრდა (30-40გვ),

13. **რეკომენდებულია** პროგრამას დაემატოს აკადემიური წერის სასწავლო კურსი სავალდებულო სტატუსით, რომელიც კონკრეტულად საბაკალავრო ნაშრომის შექმნაზე იქნება ორიენტირებული,

14. **აუცილებელია,** შემუშავდეს შეფასების სტანდარტული ფორმა სტაჟირების განმახორციელებლებისათვის, რომელიც იქნება თავსებადი სილაბუსში გაწერილ კრიტერიუმებთან ჩაშლილი ქულობრივი შეფასებით. ამავდოულად, გაიწეროს სილაბუსში კონკრეტულად მუშაობის საათობრივი განაწილება: 30 საათი ინდივიდუალური (რა დავალება სრულდება) და 1 საათი მენტორთან მუშაობა (რას ეძღვნება? რა ფორმატში მიმდინარეობს?).

15. **რეკომენდებულია,** პროგრამას დაემატოს აკადემიური წერის სასწავლო კურსი სავალდებულო სტატუსით, რომელიც კონკრეტულად საბაკალავრო ნაშრომის შექმნაზე იქნება ორიენტირებული,

16. **რეკომენდებულია,** სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსების გადახედვა გადაფარვების თავიდან აცილების, ლიტერატურის განახლებისა და შეფასების კრიტერიუმების კონკრეტიზაციის მიზნით,

17. **რეკომენდებულია,** პრაქტიკის კურსის სილაბუსის გადახედვა, შუალედური და დასკვნითი შეფასების პროცესის კონკრეტიზაცია. პრაქტიკის ხელმძღვანელის როლის ზუსტი განსაზღვრა პრაქტიკის კურსის მიმდინარეობისას,

18. **რეკომენდებულია,** საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების განახლება. კვლევის მეთოდებსა და ნაშრომის გაფორმების სტილზე აქცენტირება,

19. **რეკომენდებულია,** საბაკალავრო ნაშრომის შესრულების პროცესში ხელმძღვანელის როლის ზუსტი განსაზღვრა,

20. **რეკომენდებულია,** სახელმძღვანელოდ გამოსაყენებელმა მონოგრაფიებმა გაიაროს არამხოლოდ ქართველი, არამედ სფეროს უცხოელი სპეციალისტის რეცენზირება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. **სასურველია,** გაძლიერდეს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პიარსტრატეგია,

2. **სასურველია,** უსდ-მ უფრო აქტიურად შესთავაზოს სტუდენტებს კარიერული განვითარების მიმართულებით სხვადასხვა შესაძლებლობები მათი **სპეციალობიდან** გამომდინარე,

3. **სასურველია,** საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობისთვის სტუდენტების ჩართულობის წახალისება და დროული ინფორმირება,

4. **სასურველია,** უსდ-ს გარე აქტივობებში სტუდენტების ჩართულობის წახალისება,

5. **სასურველია,** სპეციალობის გაცვლითი პროგრამების მხრივ (ერაზმუს+) უფრო აქტიური მუშაობა უსდ-ს მხრიდან,
6. **სასურველია,** საკონსულტაციო საათების მიზნობრიობაზე აქტიური კომუნიკაცია და სტუდენტების წახალისება, რომ ეფექტურად გამოიყენენ ეს დრო,

7. **სასურველია,** მეტი სიცხადე საბაკალავრო პროგრამაში დარგის ინგლისური ენის სწავლების თაობაზე, ნათლად იყოს ასახული სერტიფიკატის მქონე სტუდენტი ან ინგლისურენოვანი პროგრამიდან გადმოსული სტუდენტი თავისუფლდება თუ არა დარგობრივი ინგლისურის სწავლებისაგან,

8. **სასურველია,** პროგრამის განვითარებისა და გარე შეფასების პროცესში არა მარტო ქართველი, ასევე უცხოელი ექსპერტებისგანაც იყოს მიღებული გარკვეული შეფასებები, მით უფრო რომ უნივერსიტეტს აქვს საკმაოდ მრავალფეროვანი საერთაშორისო კონტაქტები და მემორანდუმებით განსაზღვრული ურთიერთობები,

9. **სასურველია,** პროგრამის ხელმძღვანელმა და აკადემიურმა პერსონალმა გააძლიეროს მუშაობა სტუდენტების წასახალისებლად, რათა მათ აქტიურად გამოიყენონ აღიშნული ბაზები,

10. **კარგი იქნება,** პროგრამის განვითარების პროცესში აქტიურად მოხდესკურიკულუმის უცხოური უნივერსიტეტების პროგრამებთან დადარება და ანალოგიების გაცნობა საუკეთესო პრაქტიკების გაზიარების მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში):

ხარისხის სამსახურის ეფექტური მუშაობა (მაგ. ხარისხის სამსახურის აქტიური ჩართულობა პროგრამის მონიტორინგის პროცესში, კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების რეგულარულად ჩატარება და სხვა),

წარმატებული პედაგოგისა და მკვლევარის ფინანსური წახალისების სისტემა (მაგ. პრემია „თამარის“ ერთი კატეგორიით ჯილდოვდება ახალგაზრდა მკვლევარი).

განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

განმეორებითი აკრედიტაციის პროცესში მოხდა კურსების დამატება საერთაშორისო და პოლიტიკური გამოწვევების მიმართულებისა და კვლევის გასაძლიერებლად, სილაბუსების განახლება, შესასწავლი თემების გამრავალფეროვნება; ლექტორებისა და სტუდენტების კვლევითი პროცესებში ჩართვის მექანიზმების შემუშავება.

უსდ-დან მიღებულ **არგუმენტირებულ პასუხზე** აკრედიტაციის ჯგუფმა იმსჯელა და შეჯერდა შემდეგზე: ექსპერტებმა გაიზიარეს უსდ-ს არგუმენტი მესამე რეკომენდაციაზე (ინგლისური ენის სწავლებასთან დაკავშირებით) და გადაიტანეს ის რჩევაში; მიიღეს არგუმენტი მეოცე რეკომენდაციასთან (საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი) დაკავშირებით და საერთოდ ამოიღეს ის რეკომენდაციების სიიდან. ყველა დანარჩენი რეკომენდაცია დარჩა ძალაში.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიზანია, სტუდენტს ჰქონდეს მაღალი სტანდარტის შესატყვისი განათლების მიღების შესაძლებლობა. მან უნდა შეიძინოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საფუძვლიანი განათლება საერთაშორისო ურთიერთობებში (დარგის სავალდებულო და არჩევითი კურსები) და ფლობდეს სფეროში მუშაობისათვის აუცილებელ სპეციალიზებულ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. წარმოდგენილი პროგრამის მიზანია, სწავლის პროცესში ბაკალავრმა მიიღოს ფართო ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემისა და გლობალური პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროს მიმართულებების, დარგში არსებული გამოწვევების შესახებ; შეისწავლოს დემოკრატიული ღირებულებები და კარგი მმართველობის პრინციპები და გამოიყენოს ისინი პროფესიული საქმიანობისას; სწავლის მიმდინარეობისას შეიძინოს პრობლემურ საკითხთა გაანალიზებისა და აქტიური კომუნიკაციის უნარი. სწორედ ამიტომ გადაწყდა პროგრამის გამდიდრება პრაქტიკული კურსებით. ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად, რომელიც თანხმობაშია უსდ-ს მისიასთან, პროგრამა უნივერსიტეტთან ერთად მოტივირებულია შესთავაზოს სტუდენტს ხარისხიანი განათლება, მოამზადოს საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო დასაქმების ბაზრისთვის კვალიფიციური აკადემიური პერსონალის ჩართულობითა და კვლევითი თუ პედაგოგიური საქმიანობის ხელშეწყობით. ამათან, პროგრამის მიზანია სტუდენტი, პროგრამის დამთავრების შემდეგ ფლობდეს საერთაშორისო ურთიერთობისა და დიპლომატიის, პოლიტიკისა და ეკონომიკის ცოდნას გამოსადეგარს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროსათვის.

უსდ-მ საერთშორისო ურთიერთობების სკოლასთან ერთად ჩაატარა ბაზრის კვლევა, რომელიც დაუკვეთა ორგანიზაცია - *სტრატეგიული კომუნიკაციები-საქართველოს.* კვლევიდან გამოიკვეთა, რომ დამსაქმებლები ითხოვენ კურსდამთავრებულს, რომელსაც შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. სტუდენტს უნდა ჰქონდეს ცოდნა საქართველოს ჩართულობაზე საერთაშორისო დონეზე როგორც გლობალურად, ისე რეგიონში მიმდნიბარე პროცესებში, კავკასიის რეგიონში განვითარებულ მოვლენებზე, პოსტ-საბჭოთა წარსულზე, ევრო-ატალანტიკურ ინტეგრაციაზე და სხვა.

ორივე საფეხურის (უნივერსიტეტისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის) ადმინისტრაცია პერიოდულად ხვდება დამსაქმებლებსა და კურსდამთავრებულებს. როგორც ბაზრის კვლევებმა, ისე დამსაქმებლებთან შეხვედრებმა გამოკვეთა ძირითადი მოთხოვნები, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს პროგრამის კურსდათავრებულმა. მოთხოვნათა შორისაა როგორც დარგის თეორიული ცოდნა, ასევე მისი პრაქტიკული გამოყენება; წერითი და ზეპირმეტყველებითი უნარები; კომუნიკაციის უნარი და სულ მცირე ორი უცხო ენის ცოდნა. დამსაქმებლებთან შეხვედრებისას, დამსაქმებლების მხრიდან მიწოდებული იყო რჩევა, რომ პროგრამა გაფართოებულიყო ევრო-ატლანტიკური და რეგიონული მიმართულების საგნებით საერთაშორისო გამოწვევებისა (ტერორიზმი) და საქართველოს საგარეო პრიორიტეტებიდან გამომდინარე. შედეგად, პროგრამის ხელმძღვანელემა პროგრამა გაამდიდრა აღნიშნული მიმართულების კურსებით (არჩევითი სტატუსით).

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის განვითარებაში ჩართულია სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები. პროგრამა სთავაზობს სტუდენტს როგორც ევროპულ, ისე აღმოსავლურ (სპარსულ) ენებს. ამ უკანასკნელის პოპულარიზაციისათვის, უსდ-ში ფუნქციონირებს ირანის კაბინეტი, ხოლო პოლონური ენის შესასწავლად კი - პოლონური ოთახი ირანის საელჩოსა და პოლონეთის საელჩოს ხელშეწყობით, შესაბამისად. სტუდენტებს მობილობით უშვებენ პოლონეთისა და ირანის უნივერიტეტებში ენის ცოდნის გასაღრმავებლად.

აღსანიშნავია, რომ უსდ-მ, ფაკულტეტმა და პროგრამამ შეიმუშავა პროგრამის გასავითარებლად ინტრნაციონალიზაციის სერიოზული სტრატეგია. დაგეგმილია პროგრამის სტუდენტების მონაწილეობის უზრუნველყოფა ერაზმუსის + გაცვლით პროგამაში. აღნიშნულ პროგრამით უკვე სარგებლობს აკადემიური პერსონალი; უსდ-ს გაფორმებული აქვს მრავალი მემორანდუმი ევროპულ უნივერსიტეტებთან. ამასთან ყველაზე პირველი მემორანდუმის გაფორმების თარიღია 2012 წელი. მემორანდუმების მოქმედების ვადა ავტომატურად გრძელდება.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.ciu.edu.ge) როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • უსდ-ს მისია, • თვითშეფასების დოკუმენტი, • საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, • სულაბუსები, • პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, • მემორენდუმები, • ბაზრის კვლევის დოკუმენტი, • თბილისი ღია სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (www.ciu.edu.ge).
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: Vშესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდგომ, სტუდენტი უნდა ფლობდეს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს საფუძვლიან თეორიულ ცოდნას - იცნობდეს სფეროს ძირითად თეორიებს, კონცეფციებს, პრინციპებს, რეგიონალურ და გლობალურ კონტექსტებს; ხედავდეს საქართველოს ადგილს საერთაშორისო თუ რეგიონულ სისტემაში. მას უნდა შეეძლოს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის არქიტექტურისა და შემადგენელი სუბიექტების აღწერა; საერთაშორისო პოლიტიკის, ეკონომიკის, ისტორიის, უსაფრთხოებისა და სამართლებრივი საკითხების კრიტიკული გააზრება. კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს ღია წყარიების გამოყენება და კვლევა სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით და საერთაშორისო ურთიერთობათა და მმართველობის სფეროში არსებული მნიშვნელოვანი თემების ანალიზი/შეფასება. საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული უნდა იყენებდეს ეთიკის, ჰუმანურობისა და დემოკრატიული მმართველობის პრინციპებს და ითვალისწინებდეს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს საკუთარი პოზიციების ჩამოყალიბებისა და დასაბუთებისას დარგის ძირითად კომპლექსურ საკითხებზე მსჯელობისას. ის უნდა ფლობდეს ეფექტიანი კომუნიკაციის უნარს სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან ურთიერთობისას როგორც ქართულ, ისე უცხო (ინგლისური) ენაზე სრულყოფილად.

პროგრამის განვითრებისათვის უსდ-ს და საერთაშორისო სკოლის ადმინისტრაცია, ითვალისწინებს ბაზრის კვლევის შედეგებს, კურსდამთავრებულების ხედვებს და დამსაქმებლებთან თანამშრომლობისას მიღებულ რჩევებს; მაგ. საბაკალავრო ნაშრომისათვის სავალდებულო სტატუსის მინიჭება. აღნიშნული აქტივობები მნიშვნელოვანია, რადგან პროგრამა არის მოწოდებული დასაქმების ბაზარს მისი მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური პროფესიონალი შესთავაზოს. შესაბამისად, ბაზრის წარმოდგენილ კვლევას თუ დავეყრდნობით, დამსაქმებლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნაა, კუსდამთავრებულს ჰქონდეს სპეციალობისათვის აუცილებელი პრაქტიკული ცოდნა და უნარები (სფეროს საკითხების ანალიზი, წერა, კვლევის ჩატარება, კომუნიკაცია, პრეზენტაციის წარდგენა და ა.შ.). შესაბამისად, ექსპერტთა

ჯგუფი თვლის, რომ უნდა გადაიხედოს სავალდებულო სტატუსის *პრაქტიკის* კურსის ფორმატი (დეტალები 2.4); *აკადემიური წერა* სავალდებულო სტატუსით (მითუმეტეს, საბაკალავრო ნაშრომის შესრულება სავალდებულოა) დაემატოს პროგრამას და იყოს ორიენტირებული საბაკალავრო ნაშრომის ფორმატის შესწავლაზე (მათ შორის აკადემიური წერის სტანდარტის, APA ან Chicago Style ათვისებაზე); მოდიფიცირდეს კურსი, *სოციალური კვლევის მეთოდები* აქცენტით თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიაზე.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებისას, საბაკალავრო ნაშრომების გადახედვისას გამოიკვეთა, რომ კვლევითი უნარის განვითარება რომელიმე კონკრეტული კურსის ფარგლებში ვერ ხერხდება. როგორც სტუდენტები, ისე კურსდამთავრებულები არ ფლობენ ცოდნას აკადემიური წერის სტანდარტსა თუ კვლევის მეთოდოლოგიებზე. მათ არ იციან რომელი აკადემიური სტანდარტით უნდა დაწერონ რეფერატი თუ საბაკალავრო ნაშრომი და როგორი უნდა იყოს ნაშრომის სტრუქტურა. **რეკომენდებულია,** გარდაიქმნას *სოციალური კვლევის მეთოდების*, ხოლო *აკადემური წერის* კურსი გახდეს სავალდებულო.

ბაზრის კვლევისა და დამსაქმებლების მოთხოვნაა კურსდამთავრებული ფლობდეს ცოდნას საქართველოს მნიშვნელობაზე საერთაშორისო არენაზე გლობალურად და რეგიონში, კავკასიაში მიმდინარე პროცესებზე, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში განვითარებულ მოვლენებზე, საქართველოს პროგრესზე ევრო-ატლანტიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანების გზაზე. ყველა კურსი, რომელიც ჩამოთვლილ საკითხებს ეხება არის წარმოდგენილი სპეციალობის არჩევით ბლოკში. სპეციალობის სავალდებულო კომპონენტში ძირითადად წარმოდგენილია საერთაშორისო ურთიერთობისა და პოლიტიკის მეცნიერების კურსები და ისეთი კურსები, რომელიც თავისი მნიშვნელობით არჩევით სტატუსს უფრო მეტად იმსახურებს (მაგ. მეტადიპლომატიის კურსი). აკრედიტაციის ჯგუფი თვლის, რომ **აუცილებელია** პროგრამის სტრუქტურის შეცვლა - მისი დაბალანსება თეორიული და პრაქტიკული საგნებით, რათა სტუდენტს პროგრამის დასრულების შემდეგ ჰქონდეს სპეციალობის ის ცოდნა და უნარი, რომელიც ბაზრის/დამსაქმებლის მოთხოვნას შეესაბამება. (დეტალები იხილეთ 2.2, 2.3-ში.) გაედაქმნილი პროგრამა შეძლებს პროგრამის მიერ დასახული მიზანი გაიყვანოს შედეგზე.

სწავლის შედეგების შეფასებისათვის შედგენილია პროგრმის სწავლის შედეგებისა და სილაბუსის სწავლის შედგების ფორმა/კურიკულუმის რუკა. სწავლის შედეგის შეფასების ერთი მეთოდია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება, რაც გულისხმობს პროგრამისა და სილაბუსის დონეზე მონაცემების დამუშავებას. ამვდროულად, გამოიყენება სწავლის შედეგების პირდაპირი (სტუდენტების წერითი და ზეპირი გამოკითხვა, გამოცდა,

პრეზენტაცია, რეფერატი და სხვა) და არაპირდაპირი (დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, კურუკულუმის ანალიზი, სტუდენტთა გამოკითხვა და სხვა) შეფასების მექანიზმები. სწავლის შეფასების შედეგების მონიტორინგის აწარმოებს ხარისხის სამსახური სემესტრულად. რეგრესის გამოვლენის შემთხვევაში, ხდება სწავლის შედეგებისა და მიღწევის გზების გადახედვა. შედეგად, პროგრამა გარდაიქმნება უსდ-ს რეგულაციების მიხედვით. ხარისხის დეპარტამენტი პერიოდულად აწყობს შეხვედრებს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების, სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვის და ანალიზის უნარების განვითარებისათვის, სილაბუსების სწორად შედგენის მიზნით; იძლევა მეთოდურ რეკომენდაციებსა და ინსტრუქციებს. პროგრამის შემუშავებაში ჩართულია როგორც სკოლის, ისე პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ხარისხის სამსახური ორივე დონეზე (უსდ და სკოლა) და ადმინისტრაციული ერთეულები აგრეთე ორივე დონეზე. პროგრამის გამართვა/შეფასებაში მონაწილეობენ სტუდენტები და კუერსდამთავრებულები. დამსაქმებლებთან ხშირი შეხვედრები და საუბრები პროგრამის გაუმჯობესებას უწყობს ხელს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, ○ საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები, ○ თვითშეფასების დოკუმენტი, ○ დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვები, ○ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, ○ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (www.ciu.edu.ge).
რეკომენდაციები: **რეკომენდებულია**, პროგრამის სტრუქტურის შეცვლა - მისი დაბალანსება თეორიული და პრაქტიკული საგნებით, რათა სტუდენტს პროგრამის დასრულების შემდეგ ჰქონდეს სპეციალობის ის ცოდნა და უნარი, რომელიც ბაზრის/დამსაქმებლის მოთხოვნას შეესაბამება. შედეგად, მოხდება პროგრამის მიზნის შედეგზე გასვლა; **რეკომენდებულია,** გარდაიქმნას *სოციალური კვლევის მეთოდების*, ხოლო *აკადემური წერის* კურსი გახდეს სავალდებულო.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ხარისხის სამსახურის ეფექტური მუშაობა
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან V მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	V			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს საერთაშორისო ურთიერთობის საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა; მიღების მოთხოვნები პროგრამის მსურველი აბიტურიენტებისათვის მიმართებაში საჯაროა; ინფორმაცია მისაღებ პროცედურებსა და მოთხოვნებზე ხელმისაწვდომია, რაც ადვილებს მსურველთათვის გადაწყვეტილების მიღებას.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 52).

უსდ-ში ხორციელდება სტუდენტების ჩარიცხვა მობილობით. მობილობით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების პირველი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების /თანხმობის საფუძველზე. პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით. http://www.ciu.edu.ge

აღსანიშნავია, რომ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა კლებულობს ბოლო 5 წლის განმავლობაში. 2020/21 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა რაოდენობამ შეადგინა 38. რექტორმა, კანცლერმა და პროგრამის ხელმძღვანელმა ეს გარემოება ახსნა ბევრ უნივერსიტეტში მსგავსი პროგრამების გახსნითა და მაღალი კონკურენციით; თუმცა, მიგვაჩნია რომ პროგრამის ხელმძღვანელმა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისა დავფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ერთად უნდა გააძლიეროს პიარ-კამპანია სტუდენტების მოსაზიდად და პროგრამის მდგრადობის უზრნველსაყოფად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა,
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში,
- უნივერსიტეტის ვებგვერდი - http://www.ciu.edu.ge,
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან,
- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: გაძლიერდეს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პიარ-სტრატეგია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება Vშესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც 4 ძირითადი ეტაპისგან შედგება: 1. მოსამზადებელი ეტაპი; 2. პროგრამასთან დაკავშირებული შიდა და გარე მონაცემების ანალიზი; 3.პროგრამის განვითარების გეგმის შედგენა, პროგრამის განხორციელების პროცესში კომუნიკაციის სტრატეგია და პერიოდულობა დაინტერესებულ მხარეებთან; 4. განხორციელების პროცესის შეფასება. **მოსამზადებელ ეტაპზე ხდება** - დასაქმების ბაზრის კვლევა; დაინტერესებული მხარეების განსაზღვრა; დაგეგმვის პროცესის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ინფორმაციის და რესურსების მობილიზება; სამუშაო ჯგუფის ფორმირება. **პროგრამასთან დაკავშირებული შიდა და გარე მონაცემების ანალიზი** - სამუშაო ჯგუფის მიერ, პროგრამასთან დაკავშირებული მონაცემების ანალიზი და შეფასება, რომლის მეშვეობით დგინდება პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და მოსალოდნელი საფრთხეები (SWOT ანალიზი). **პროგრამის განვითარების გეგმის შედგენა, პროგრამის განხორციელების პროცესში კომუნიკაციის სტრატეგია და პერიოდულობა დაინტერესებულ მხარეებთან** - ამ ეტაპზე

ხდება პროგრამის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შექმნა, სადაც განსაზღვრულია დაგეგმილი აქტივობების პერიოდულობა. სამუშაო ჯგუფი განიხილავს პროგრამის SWOT ანალიზს, რომლის შემდეგაც განისაზღვრება პრიორიტეტული სტრატეგიები, რომლებიც უნდა განხორციელდეს მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში. ესენია: ინფორმაციის გაზიარების სტრატეგია დაინტერესებული მხარეებისთვის; ერთობლივი გეგმის შემუშავება, რომელიც შეტანის, განხორციელების და განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

განხორციელების პროცესის შეფასება - ამ ეტაპის მიზანია, შეაფასოს, რამდენად შეესაბამება პროგრამის განხორციელების პროცესის პერიოდული შედეგები პროგრამის მიზნებს და სტრატეგიებს.მოიცავს ინფორმაციას პროგრამის და მისი სტრატეგიული გეგმის შექმნის, ცვლილებების

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუსავებასა და შეფასებაში მონაწილეობა მიიღეს პროგრამის ხელმძღვანელმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა. აკადემიურმა პერსონალმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა მონაწილეობა მიიღო საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების შემუშავებაში.სტუდენტები ზოგადად, ყოველი სემესტრის ბოლოს აფასებენ არა მხოლოდ პროფესორ-მასწავლებლებს, არამედ პროგრამასა და სასწავლო კურსების სილაბუსებს. მათ თავიანთი რჩევებით გარკვეული წვლილი შეაქვთ პროგრამის განვითარების პროცესში. ხოლო დამსაქმებლებმა მიაწოდეს ხაეისხის უზრუნველყოფისა სამსახურსა და პროგრამის ხელმძღვანელს ის რჩევები და რეკომენდაციები, რაც მათთვის, როგორც დამსაქმებლებისათვის არის პრიორიტეტული.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია, ძირითადად, თეორიული პროფილით, თუმცა ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტსაც (პრაქტიკულ სასწავლო კურსებსა და პროფესიულ პრაქტიკას) და კვლევითი უნარ-ჩვევებისა და დამოუკიდებელი მუშაობის განვითარებაზე მიმართულ კომპონენტს - საბაკალავრო ნაშრომს. პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი ანუ 8 სემესტრი.

საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო კომპონენტები: 172 კრედიტია, მათ შორის:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – **22 კრედიტი;**
- საფაკულტეტო (სოციალური მეცნიერებების) სავალდებულო სასწავლო კურსები – **15 კრედიტი;**
- სპეციალობის (საერთაშორისო ურთიერთობები) სავალდებულო სასწავლო კურსები – **135 კრედიტი;**

არჩევითი კომპონენტები: 68 კრედიტი, მათ შორის

- საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – **10 კრედიტი;**
- საფაკულტეტო (სოციალური მეცნიერებების) არჩევითი სასწავლო კურსები – **8 კრედიტი;**
- სპეციალობის (საერთაშორისო ურთიერთობები) არჩევითი სასწავლო კურსები – **25 კრედიტი;**

- თავისუფალი კომპონენტები - **25 კრედიტი**

პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მაგრამ პროგრამის სტრუქტურა ითხოვს გადახედვას. სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი შედგება საერთაშორისო ურთიერთობის, პოლიტიკის მეცნიერებისა და ისტორიის საგნებისაგან, ხოლო არჩევითი კურსებისგან, რომლებიც სწავლობს ტერორიზმს, ახლო აღმოსავლეთის რეგიონს, რუსეთს, ამერიკას, კავკასიის რეგიონს, ევროინტეგრაციას, ნატოს და სხვა. ეს სწორედ ის მიმართულებებია, რომელზეც დამსაქმებლებმა გააკეთეს აქცენტირება. იგივე სურათი გამოიკვეთა ბაზრის კვლევის შედეგებმა. **რეკომენდებულია,** შეიცვალოს პროგრამის სტრუქტურა, მოხდეს კურსების გადალაგება (მათი სტატუსების შეცვლა), რათა პროგრამა დაბალანსდეს მიმართულებების მიხედვით და დააკმაყოფილოს შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნები.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. თუმცა პროგრამის მიმართ გაქვს რამოდენიმე მოსაზრებაც.

კერძოდ, პროგრამაში აღნიშნულია რომ „პირი, რომელიც უნივერსიტეტს წარუდგენს ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელ საერთაშორისო დონის სერთიფიკატს; ან პირი, რომელიც სხვა უნივერსიტეტის შესაბამისი საფეხურის ინგლისურენოვანი პროგრამიდან მობილობით ირიცხება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში თვისუფლდება ინგლისური ენის სწავლებისაგან.“ (პუნქტი 21.1) თუმცა ასევე აღნიშნულია რომ „სპეციალობის სავალდებულო კომპონენტებში 10 კრედიტის ოდენობით გათვალისწინებულია დარგობრივი (პროფესიული) ინგლისურის სწავლება, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია მომავალი, დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მოსამზადებლად (პუნქტი 21.3). მიგვაჩნია, რომ ეს ორი პუნქტი უფრო მეტ სიცხადეს საჭიროებს. მაგ. ადამიანი, რომელიც სერტიფიკატს წარადგენს ან სხვა უნივეერსიტეტის შესაბამისი საფეხურის ინგილურენოვანი პროგრამიდანაა გადმოსული თავისუფლდება თუ არა სპეციალობისთვის სავადებულო ინგლიურიდანაც, თუ საერთოდ თავისუფლდება ინგლური ენის სწავლებისაგან. ხელმძღვანელმა გასაუბრებაზე გვითხა,რომ ასეთ პირებს დარგის ინგლიურის ცოდნაში ტესტირება უტარდებათ, თუმცა მიგვაჩნია რომ ეს ფაქტორი პროგრამის აღწერაში უფრო ნათლად უნდა იყოს გაწერილი და გასაგები.

ასევე დამსაქმებელთა რეკომენდაციების გაცნობისას აღმოჩდა რომ დამსაქმებლების მოთხოვნა და რეკომენდაციები იმის თობაზე თუ რა მოლოდინები აქვთ პროგრამის კურსდამთავრებულებისაგან არ მემთხვევა თავად პროგრამის სილაბუსების გადანაწილებას. დამსაქმებლების ძირითადი სურვილია რომ პროგრამაში მეტი ფოკუსი იყოს კავკასიის პოლიტიკის , და ზოგადად რეგიონული პოლიტიკის შემსწავლელ საგნებზე, მაშინ როცა პროგრამაში მსგავსი საგნები ძირითადად არჩევითი სტატუსის მქონეა და სტუდენტმა შეიძლება ისინი არც აირჩიონ უნივერსიტეტში სწავლის მანძილზე. ამიტომ მიგვაჩნია მიზანშეწონილად პროგრამის შინაარსი დამსაქმებლების რეკომენდაციებთან თანხვედრაში მოდიოდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა,

- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში,
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან,
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია,
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები,
- დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი,
- გასაუბრება დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, შეიცვალოს პროგრამის სტრუქტურა, მოხდეს კურსების გადალაგება (მათი სტატუსების შეცვლა), რათა პროგრამა დაბალანსდეს მიმართულებების მიხედვით და დააკმაყოფილოს შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნები,

რეკომენდებულია, კურსების მისადაგება დამსაქმებლების რეკომენდაციებთან და მოთხოვნებთან (დამსაქმებლების რჩევით დამატებულ საგნებს მიენიჭოს სავალდებულო სტატუსი).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია, მეტი სიცხადე საბაკალავრო პროგრამაში დარგის ინგლისური ენის სწავლების თაობაზე, ნათლად იყოს ასახული სერტიფიკატის მქონე სტუდენტი ან ინგლისურენოვანი პროგრამიდან გადმოსული სტუდენტი თავისუფლდება თუ არა დარგობრივი ინგლისურის სწავლებისაგან,

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
Vმეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი დრო) უზრუნველყოფს მათი სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა გამოთვლილია მისი სპეციფიკის, თავისებურებებისა და მოცულობის გათვალისწინებით, იმის გათვალისწინებით, თუ რეალურად რა დრო ჭირდება საშუალო მოსწრების სტუდენტს კონკრეტული დისციპლინის შესწავლისთვის. ამიტომაც არის, რომ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში სასწავლო კურსები 3, 4, 5 ან 6 კრედიტიანია. დაანგარიშებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო დროის ჯამი / 25 საათზე = X კრედიტის ტოლია.

თითოეული სავალდებულო სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ერთობლიობაში ქმნის და შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

თუმცა, გვაქვს მოსაზრებები სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალის შესახებ. უმეტესი სასწავლო კურსის ლიტერატურა მოძველებულია და საჭიორებს განახლებას. დარგის სფეროში ძალიან ბევრი საინტერესო ლიტერატურა გამოდის და სასურველი იქნება ლიტერატურის გამრავალფეროვნება უახლესი კვლევებით. ამის გარდა სილაბუსეებში უმეტესი ლიტერატურა ქართულ ენაზეა მოცემული. არადა პროგრამა ინგლისური ენის სწავლებას,როგორც ძირითადი უცხო ენისა, საკმაოდ დიდ დროს უთმობს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია კურსებში ერთ-ერთ ლიტერატურად ინგლისურ ენოვანი მასალაც ჩაიდოს. რაც ერთი მხრივ გაუღრმავებს სტუდენტს დარგის ინგლისური ენის ლექსიკონს, ხოლო მეორე მხრივ გააცნობს სტუდენტებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მოღვაწე წამყვანი უცხოელი ავტორების ნაშრომებსაც. მისასალმებელია, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი თავად გამოსცემს მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებს, მაგრამ აუცილებლობად მიგვაჩნია,რომ სტუდენტები დარგის აღიარებული ცნობილი უცხოელი ავტორების ნაშრომებსაც ეცნობოდნენ ან ორგინალში ან თარგმანის სახით, მით უფრო რომ ადმინისტრაცისათან შეხვედრის პროცესში აღინიშნა,რომ უნივერსიტეტი მზადაა დააფინასოს მთარგმნელობითი პროექტები.

ლექტორების ნაწილი კურსის მიმდინარეობისას იყენებს მის საკუთარ სალექციო კურსს (რიდერს). უსდ-დან მოწოდებული რიდერებს აკლია წყაროები, რომლის ის მიხედვითაც არის შემნილი/აწყობილი. **რეკომენდებულია,** რიდერის ყოველ სავალდებულო წასაკითხ თემას ახლდეს ლიტერატურა, რომლაც ის ეყრდნობა ან იყენებს.

პროგრამაში ისწავლება საგანი, *საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები.* ეკონომიკური საკითხებში უკეთ გასარკვევად, რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს კურსი - ეკონომიკის შესავალი/საფუძვლები ან მოხდეს არსებული კურსის მოდიფიცირება (მას დაემატოს ეკონომიკის შესავლის ძირითადი თემები).

ამის გარდა კურიკულუმით შეთავაზებულ კურსებში ზოგჯერ კურსის თემატიკა და საკითხავი მასალა ერთმანეთს იმეორებს. მაგალითად, კურსები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკა და პოლიტიკური სისტემები და საერთაშორისო ორგანიზაციები ახლო აღმოსავლეთში თავისუფლად შეიძლება ერთ კურსში გაერთიანდეს. ერთმანეთს ნახევრად ფარავს კურსები საკითხავი მასალითაც და შინაარსის თვალსაზრისითაც „ძალის როლი საერთაშორისო პოლიტიკაში“ და „შესავალი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში.“ ზოგადად ძალა, ძლიერება და მასთან დაკავშირებული ცნებები საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი მდგენელია და თუკი კურსი ისეა აწყობილი შინაარისთაც და საკითხავი ლიტერატურითაც, რომ სტუდენტს ისევ რონდელის საერთაშორისო ურთიერთობების ნაწილის ხელახლა გავლა უწევს , მაშინ უფრო სავარაუდოა რომ ამ კურსს სტუდენტი არც აირჩევს. ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც ,რომ ძალის როლი საერთაშორისო პოლიტიკაში კურსის ავტორს წყაროს ავტორიც არასწორად აქვს ლიტერატურაში მითითებული, რობერტ არტია საერთაშორისო პოლიტიკის თანაავტორი და არა არესი. კიდევ ერთი ფაქტორი რომელიც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია არის ის რომ საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამაში არ ისწავლება საერთოდ საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, რაც ყველაზე წამყვანი და მნიშვნელოვანი საგანია სწორედ საერთაშორისო ურთიერთობების სპეციასიტებისათვის. არის საგანი შესავალი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში, რაც შინაარსიდან გამომდინარე შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებშია, მაგრამ არ არის თეორიების კურსი, ის მნიშვნელოვანი დებატები,რაც საერთაშორისო ურთიერთბების სკოლის ჩამოყალიბებასა და განვითარებას სდევდა თან და რაზეც დგას თანამედროვე სუ,როგორც მეცნიერება.სამაგიეროდ სავალდებულო საგნებად ისეთი კურსებია შეთავაზებული, საერთაშორისო ურთერთობების ისტორია,მეტადიპლომატია, პოლიტიკური აზრის ისოტრია,რომელც თავისუფლად შეიძლება გადავიდეს არჩევითი საგნების ჩამონათვალში. სუ-ს სპეციალსიტმა შეიძლება არ იცოდეს ძველი ეგვიპტისა და ძველი საბერძნეთის პოლიტიკური აზრი და წყობა, მაგრამ თუ სუ-ს კურსდამთავრებულმა არ იცის დარგის მეინსთრიმ თეორიები ფემინიზმი, კონსტრუქტივიზმი, პოსმოდერნიზმი და ა.შ საბაკალვრო ნაშრომის დაწერაც გაუჭირდება და ამა თუ იმ მოვლენის ახსნაც სუ-ს თეორიის ჭრილში. ამიტომ აუცლებელია კურსი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები ჩაიდოს პროგრამაში. ალექსანდრე რონდელის საერთაშორისო ურთიერთობები გასაღებია შესავალი კურსისთვის, მაგრამ ის ბოლომდე ვერ ფარავს საერთაშორისო ურთერთობების მეცნიერებაში განვითარებულ თეორიულ დებატებს. კიდევ ერთი რეკომენდაცია გვაქვს კურსი სახელწოდებებთან დაკავშირებით, ზოგი კურსი სახელი არ ემთხვევა კურსის შინაარს, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია კურსი სახლეწოდების ცვლილება. მაგალითად, კურსში კავკასიის გეოპოლიტიკა განხილულია ძირითადად საქართველოსთან დაკავშირებული პრობლემები,მაშინ როცა აზერბიჯანის და სომხეთი საერთოდ არ ჩანს ან ზედაპირულადაა ნახსენები, ამიტომ ჯობია კურსს ერქვას საქართველო გეოპოლიტიკურ კონტექსტში,რადგან სამხრეთ კავკასიის, მით უმეტეს რეგიონის თანამედროვე პროცესები არ ჩანს. ასევე კურსში ირანის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში ძირითადად ფარავს ისტორიულ პერიოდს და არა თანამედორვეობას, ამიტომ ჯობია მასაც სხვა სახელი ერქვას, რადგან პოლიტიკის ისტორიას უფრო მეტი დრო აქვს დათმობლი სამხრეთ კავკასიაში,ვიდრე თანამედორვეობას. თანამედროვე პოლიტიკას სულ სილაბუსის ბოლო რამოდენიმე ნაწილები ეთმობა

მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, ○ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, ○ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები, ○ გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან, ○ გასაუბრება მოწვეულ პერსონალთან, ○ გასაუბრება ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.
რეკომენდაციები: **რეკომენდებულია**, პროგრამას დაემატოს კურსი - ეკონომიკის შესავალი/საფუძვლები ან მოხდეს *საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების* კურსის მოდიფიცირება (მას დაემატოს ეკონომიკის საფუძვლის შემქმნელი ძირითადი ელემენტები), **რეკომენდებულია,** პროგრამას დაემატოს საგანი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები, **რეკომენდებულია,** შეივსოს სილაბუსები დარგის უახლესი ლიტერატურით, **რეკომენდებულია,** დაემატოს კურსის საკითხავ მასალას ინგლუსურენოვანი ლიტერატურა, **რეკომენდებულია,** ითარგმნოს დარგის ცნობილი ინგლსურენოვანი სახელმძღვანელოები და აკადემიური წიგნები ქართულ ენაზე, **რეკომენდებულია,** რიდერის ყოველ სავალდებულო წასაკითხ თემას ახლდეს ლიტერატურა, რომელაც ის ეყრდნობა ან იყენებს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული და სამეცნიერო უნარების განვითარებას და მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით, საბაკალავრო პორგრამაში გათვალისწინებულია როგორც პრაქტიკული სასწავლო კურსები, ასევე პრაქტიკა.

სწავლების დამამთავრებელ 8 სემესტრში სტუდენტს ევალება საბაკალავრო ნაშრომის შესრულება,რომელიც შეადგენს 10 კრედიტს. პროგრამსი მიხედვით, საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ სამუშაოს, რითაც მოწმდება სპეციალობაში სტუდენტის არგუმენტაციის, კომუნიკაციის, ანალიზისა და სინთეზის უნარები და ასევე პრობლემების ხედვის თუ შეფასების შესაძლებლობები. ეს შეიძლება იყოს თეორიული სამუშაო (თემის დამუშავება ხემძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ) ან შემოქმედებითი პროექტი. საბაკალავრო ნაშრომის მიზანია გამოვლინდეს სტუდენტის ცოდნის დონის, შემოქმედებითი და კვლევითი უნარ-ჩვევების ხარისხის შესაბამისობა აკადემიური პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

საბაკალავრო ნაშრომის მიზანია, სტუდენტს განუვითაროს დამოუკიდებელი მუშაობის, ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის უნარები, საშუალება მისცეს მას ჩამოაყალიბოს, წარმოაჩინოს და დაიცვას საკუთარი პოზიცია, მოახდინოს არსებული თეორიებისა და მიდგომების შედარება საკვლევ თემასთან დაკავშირებით. თუმცაღა, უნდა აღინიშნოს, რომ კურსდამთავერებულბთან და სტუდენტებთან ინტერვიუების, საბაკალავრო ნაშრომების გადახედვის საფუძველზე აკრედიტაციის ჯგუფი თვლის, რომ **აუცილებელია**, გაძლიერდეს სტუდენტთა კვლევითი უნარები. მათ საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ კვლევის მეთოდოლოგიები და კვლევის კონკრეტული ტექნიკები. ნაშრომები ძირითადად არის ძალიან ზოგადი და აღწერითი; შესრულებულია ისტორული ნარატივის ფორმატში.

რეკომენდებულია *კვლევის მეთოდების სოციალურ მეცნიერებებში* (საფაკულტეტო სავალდებულო, უფრო მეტადაა აქცენტირებული მედიის საკითხებზე; სასურველია იყოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის მეცნირების საკითხევზე) კურსის გარდაქმნა და მორგება უშუალოდ კვლევის თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდოლოგიებსა და მეთოდებზე (მეტად თვისებრივზე, რადგან *სოციალურ მეცნიერებების მონაცემთა ანალიზი - SPSS-ის მეთოდით* (ალბათ, უფრო სწორია სიტყვა *მეთოდის* ნაცვლად *პროგრამა*) საფაკულტეტო სავალდებულო საგნად ისწავლება)

რეკომენდებულია საბაკალავრო თემის სათაურების დაკონკრეტება და საბაკალავრო დონისათვის მისადაგება (წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომები ერთი კონკრეტული კურსის ფარგლებში დაწერილ რეფერატის ფორმას უფრო მეტად შეესაბამება). გვერდების რაოდენობის კრიტერიუმი (**დოკუმენტი - საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი**), მართალია, ითხოვს 20-დან 30 გვერდს, მაგრამ ვთვლით, რომ რაოდენობა სულ მცირე 30 გვერდამდე უნდა გაიზარდოს. მნიშვნელოვანია, საბაკალავრო ნაშრომის შესრულება აკადემიური წერის რომელიმე საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტის (APA ან Chicago Style) მიხედვით. იგივე დოკუნტში გაწერილია წყაროების მითითების სტანდარტი. ეს უიკანასკნელი არ შეესაბამება არც ერთ ზემოთ მითითებულ საერთაშორისო სტანდარტს. ინტერვიუებიდან აღნიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისათვის სავალდებულო სტატუსის მინიჭება მოხდ სტუდენტთა მოთხოვნის შესაბამისად, რაც მისასალმებელია. მოთხოვნის საფუზველი გახდა, უცხოური უნივერსიტეტების მოთხოვნა - საბაკალვრო ნაშრომის შესრულება. შესაბამისად, სტუდენტის კარგად მოსამზადებლად როგორც სადგილობირივი, ისე საერთაშორისო ბაზრისათვის და მისი კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად აუცილებელია, რომ სტუდენტი ფლობდეს საყოველთაოდ აღიარებული კვლევისა და წერის (სტანდარტი) უნარებს. ამიტომ აკრედიტაციის ჯგუფის **რეკომენდაციაა** პროგრამაში აკადემიური წერის სასწავლო კურსის დამატება სავალდებულო სტატუსით.

მისასალმებელია, რომ საერთასორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში დანერგილია პროფესიული პრაქტიკის კურსი (სავალდებულო), რომლის მიზანია სტუდენეტბისთვის იმ უნარების გამომუშავებას, რომელიც არა სასწავლო დაწესებულებისთვის, არამედ სამუშაო გარემოსთვის არის დამახასიათებელი (საქმიანი ურთიერთობები, თანამედროვე ტექნოლოგიები, სამუშაო გარემოს სპეციფიკა და სხვ.). პრაქტიკის კურსი გრძელდება თვენახევარი. პროგრამა სტუდენტებს უშვებს არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლების ძირითადად კვლევებით არიან დაკავებულები და განიხილებიან, როგორც პოტენციური დამსაქმებლები. პრაქტიკის კურსს კურირებს პროგრამაში ჩართული პროფესორი და ორგანიზაციის თანამშრომელი. სტუდენტმა კურსის დასრულების შემდეგ უნდა დაწეროს ანგარიში და წარსდგეს კომისიის წინაშე. კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი ფასდება კონკრეტული კრიტერიუმებით. ერთ-ერთია *დაუფლებული კომპეტენციების შესრულება*, რომელიც გულისხმობს სტუდენტის კრიტიკულ აზროვნებას, მსჯელობას, საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებას. აღნიშნული უნარები სტუდენტს უყალიბდება პროგრამაში წარმოდგენილი ნებისმიერი საგნის გავლისას. სასურველია, სტაჟირების პროცესში სტუდენტს განუვითარდეს სხვა პროფესიული კომპეტენციები (მაგ. კონკრეტულ დავალების შესრულების პროცესის დაგეგმვა, წარმართვა, ეფექტიანად და დროულად შესრულება, კვლევა, ინტერვიუირება, საჭირო მასალის მოძიება, იდენტიფიცირება და ანალიზი და სხვა). დამსაქმებლებთან, რომელნიც ამავდრულად გვევლინებიან პრაქტიკული კურსის განმახორციელებლებიც, ინტერვიურებისა არ გამოვლინდა ცხადად, რომ ისინი იყენებენ სტუდენტების სტაჟირების შეფასებისას აღნიშნული კრიტერიუმების ფორმას (მხოლოდ ერთმა ორგანიზაციამ წარმოადგინა შეფასების საკუთარი ფორმა კრიტერიუმებითა და ქულებით; თუმცა, ქულები არ იყო ჩაშლილი). სტაჟირების დანარჩენმა განმახორციელებლებმა გამოკვეთილად ვერ ჩამოაყალიბეს კონკრეტულად რა დავალებებს ასრულებენ სტუდენტები და როგორ ხდება მათი პრაქტიკის კურსის შეფასება. ამასთან გასაუბრებისას დამსაქმებლებმა გააჟღერეს მიმღებ სტუდენტთა მნიშვნელოვნად განსხვავებული რაოდენობა: 3.4-დან 80-მდე.

აკრედიტაციის ჯგუფი თვლის, რომ **აუცილებელია,** შემუშავდეს შეფასების სტანდარტული ფორმა სტაჟირების განმახორციელებლებისათვის, რომელიც იქნება თავსებადი სილაბუსში გაწერილ კრიტერიუმებთან ჩაშლილი ქულობრივი შეფასებით. ამავდროულად, გაიწეროს სილაბუსში კონკრეტულად მუშაობის საათობრივი განაწილება: 30 საათი ინდივიდუალური (რა დავალება სრულდება) და 1 საათი მენტორთან მუშაობა (რას ეძღვნება? რა ფორმატში მიმდიარეობს?).

დადებითად შეიძლება ჩაითვალოს ასევე უნივერსიტეტის მიერ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების წახალისება სამეცნიერო კვლევებში. წელიწადში ორჯერ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი აცხადებს ახალგაზრდა მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის საგრანტო კონკურსს, ასევე არსებობს უნივერსიტეტის ფუნდამენტური კვლევების გრანტების და მცირე სამეცნიერო გრანტების კონკურსი და ახალგაზრდა მეცნიერების/მკვლევრების თანადაფინანსება სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ფონდებიდან სამეცნიერო გრანტების მოსაზიდად. უნივერსიტეტს ასევე აქვს ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო პრემია „თამარი“რომლის მიზანია უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის წახალისება აქტიური სამეცნიერო მოღვაწეობისთვის. 2017 წლის კონკურსის ფარგლებში ერთი პრემია 1250 ლარის ოდენობით გაიცა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის 35 წლამდე ახალგაზრდა მეცნიერებისთვის და დოქტორანტებისთვის. 2009 წლიდან უნივერსიტეტში გამოდის რეცენზირებადი, სამენოვანი, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი - **კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე.**

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა,
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თითშეფასების ანგარიში,
- სასწავლო კურსების სილაბუსები,
- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან,
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან,
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან,
- სამეცნიერო კონფერენციების მასალები, ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი ინფორმაციები,
- სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის დამადასტურებელი სტატისტიკური მონაცემები,,
- ახალგაზრდა მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის საგრანტო კონკურსის მასალები.

რეკომენდაციები:

აუცილებელია, რომ გაძლიერდეს სტუდენტთა კვლევითი უნარები. მათ საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ კვლევის მეთოდოლოგიები და კვლევის კონკრეტული ტექნიკები,

რეკომენდებულია *კვლევის მეთოდების სოციალურ მეცნიერებებში* (საფაკულტეტო სავალდებულო, უფრო მეტადაა აქცენტირებული მედიის საკითხებზე; სასურველია იყოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის მეცნირების საკითხებზე) კურსის გარდაქმნა და მორგება უშუალოდ კვლევის თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდოლოგიებსა და მეთოდებზე (მეტად თვისებრივზე, რადგან *სოციალურ მეცნიერებების მონაცემთა ანალიზი - SPSS-ის მეთოდით*),

რეკომენდებულია საბაკალავრო თემის სათაურების დაკონკრეტება და საბაკალავრო დონისათვის მისადაგება და ნაშრომის გვერდების რაოდენობის გაზრდა (30-40),

რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს აკადემიური წერის სასწავლო კურსი სავალდებულო სტატუსით, რომელიც კონკრეტულად საბაკალავრო ნაშრომის შექმნაზე იქნება ორიენტირებული,

აუცილებელია, შემუშავდეს შეფასების სტანდარტული ფორმა სტაჟირების განმახორციელებლებისათვის, რომელიც იქნება თავსებადი სილაბუსში გაწერილ კრიტერიუმებთან ჩაშლილი ქულობრივი შეფასებით. ამავდროულად, გაიწეროს სილაბუსში კონკრეტულად მუშაობის საათობრივი განაწილება: 30 საათი ინდივიდუალური (რა დავალება სრულდება) და 1 საათი მენტორთან მუშაობა (რას ეძღვნება? რა ფორმატში მიმდინარეობს?).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის :

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

შეფასება:

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☑მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაში დეკლარირებული სწავლის მეთოდებისა და სასწავლო კურსებში მოცემული მეთოდების ანალიზმა ცხადყო, რომ სწავლებისა და სწავლის მეთოდები, ერთი მხრივ შეესაბამება კურსის/კომპონენტის შინაარსს, ხოლო მეორე მხრივ მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: ვერბალური, წიგნზე მუშაობის, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების, პრაქტიკული სწავლების მეთოდი, სიტუაციური სავარჯიშოები, ჯგუფური (collaborative) მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); თანამშრომლობითი სწავლება (cooperative); შემთხვევის ანალიზი (Case study) როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდები, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ელექტრონული სწავლება.

სწავლების პროცესში გამოიყენება ასევე: სტუდენტის მიერ საკუთარი სამუშაოს კრიტიკული ანალიზი და შეფასება; სხვათა სამუშაოს კონსტრუქციული კრიტიკა და სხვების მიერ საკუთარი სამუშაოს კრიტიკის გათვალისწინება; ინფორმაციის მოძიება ელექტრონულ ფორმატში კომპიუტერული ტექნიკის ან/და საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის გამოყენებით, დასახული ამოცანის რელევანტური ინფორმაციის და ლიტერატურის მიმოხილვა.

ყველა ზემოთჩამოთვლილი მეთოდი აპრობირებულია და ხელს უწყობს სასწავლო მასალის ათვისებას და სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას.

მტკიცებულება/ინდიკატორები:

- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა,
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში,
- პროგრამის სიალბუსები,
- გასაუბრება სტუდენტებთან,
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან,
- გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პეროსნალთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: ☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამით გათვალისწინებული შეფასების სისტემა გამოიყენება სამართლიანად ყველა სტუდენტის მიმართ. პროცედურები გამჭვირვალეა და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. უსდ ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით და ასევე, გათვალისწინებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს 2004 წლის 21 დეკემბრის კანონი და საქართველოს განათლებისა და ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება. თითოეული ლექტორი თავად ირჩევს შეფასების მეთოდებს, განსაზღვრავს შეფასების კრიტერიუმებსა და შესაბამის ქულებს სხვადასხვა აქტივობების მიხედვით. შეფასების სისტემა თითოეული კურსისთვის ასახულია შესაბამის სილაბუსებში. სასწავლო კომპონენტში სტუდენტთა სწავლის შედეგის შეფასება მოიცავს შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელებიც ერთიანად შეადგენენ საბოლოო შეფასებას (100 ქულა). კრედიტი სტუდენტს ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების შემთხვევაში. პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური

კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას და ორი სახის უარყოფით შეფასებას.

(A) ფრიადი შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

(FX) ვერ ჩააბარა მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

უსდ-ს სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, რომ გაასაჩივრონ კურსის ფარგლებში მიღებული შეფასებები ელექტრონული პლატფორმა "გონის" საშუალებით. ელექტრონულ პლატფორმაზე გასაჩივრებისათვის სტუდენტები მიმართავენ დეკანატს კონკრეტული საგნის შუალედური თუ ფინალური შეფასების გადახედვის შესახებ. ასევე, კურსის განმავლობაში სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ უკუკავშირი ლექტორების მხრიდან, თუ როგორ გააუმჯობესონ შედეგები. მაგ., კურსის მიმდინაროებისას პროფესორებს გამოყოფილი აქვთ საკონსულტაციო საათები, რომლის განმავლობაშიც სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ უკუკავშირი შუალედური თუ ფინალური შეფასების შესახებ. აქვე სტუდენტებს შეუძლიათ განიხილონ საკუთარი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და როგორ შეუძლიათ გაუმჯობესონ ისინი.

პროფესორთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ უსდ ცდილობს მაქსიმალურად გაითვალისწინოს შეფასების შედეგები, გაანალიზოს ისინი და აისახოს ცვლილებები შესაბამისი კურსების სილაბუსებში. მიუხედავად იმისა, რომ უსდ სტუდენტთა უკუკავშირის შედეგად ცვლილებებს ახორციელებას სასწავლო პროცესში, რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა გამოიკვეთა დოკუმენტების გაცნობისა და გასაუბრებების შედეგად:

- **სასწავლო კურსების შეფასება:**

ყველა კურსის სილაბუსში გაწერილია შეფასების კრიტერიუმები, თუ როგორ აფასებს ლექტორი სტუდენტს თითოეულ კომპონენტში. მიუხედავად ამისა, აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ რამდენიმე კურსის ფარგლებში არ იყო ნათლად გამოკვეთილი, თუ რაში აფასებს პროფესორი სტუდენტს. მაგ., რამდენიმე საგანში სტუდენტს უწევს რეფერატის და პრეზენტაციის მომზადება. ამ ორი დავალების ქულები არაა ერთმანეთისგან გამოყოფილი და სტუდენტისთვის ბუნდოვანია კონკრეტულად რაში შეფასდა.

- **სასწავლო მასალა და შეფასება:**

აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ექსპერტთა გასაუბრების შედეგად რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოიკვეთა სასწავლო მასალასთან დაკავშირებით. საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე სილაბუსებში არსებული რიდერები/წიგნები ხშირ შემთხვევაში მოძველებულია. ამავდროულად, ინგლისურ ენაზე პროგრამის კონცენტრაციის მიუხედავად სავალდებული სასწავლო მასალა მხოლოდ ქართულ ენაზე მიეწოდებათ სტუდენტებს. ასევე გამოიკვეთა, რომ სხვადასხვა სასწავლო კურსებს აქვთ გადაფარვა და სტუდენტებს უწევთ ერთი და იმავე მასალის რამდენჯერმე გავლა (მაგ., პოლიტიკის მეცნიერების შესავალი და პოლიტიკური იდეოლოგიები).

- **პრაქტიკა:**

პროგრამის სალექციო კურსებისგან განსხვავებული შეფასების სისტემა აქვს **პრაქტიკის კურსს**, რომელიც შედგება ორი კომპონენტისგან: შუალედური შეფასება (*მენტორის შეფასება სტუდენტის მიერ პრაქტიკის პროგრამის შესრულების შესახებ)* და დასკვნითი შეფასება *(პრაქტიკის ანგარიშის დაცვა კომისიის წინაშე).*

შუალედური შეფასება (60 ქულა)
საკომუნიკაციო უნარები - 10 ქულა
ჯგუფში მუშაობა - 10 ქულა
პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება - 40 ქულა

დასკვნითი შეფასება (40 ქულა)
პრაქტიკის ობიექტის აღწერა - 5 ქულა
ორგანიზაციის საქმიანობის ანალიზი - 10 ქულა
დაუფლებული კომპეტენციების შეფასება - 20 ქულა
პრაქტიკის ანგარიშის გაფორმება - 5 ქულა

სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალთან ექსპერტთა გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პრაქტიკის კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები არის ბუნდოვანი და არ ჩანს კონკრეტული პროცესი, თუ როგორ მიმდინარეობს სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასება, ასევე, როგორაა პრაქტიკის ხელმძღვანელი ჩართული.

- **საბაკალავრო ნაშრომი**

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის სავალდებულოა **საბაკალავრო ნაშრომის დაცვა**. ნაშრომის შეფასება ხდება შემდეგნაირად:

ხელმძღვანელის შეფასება - 30 ქულა
რეცენზენტის შეფასება - 40 ქულა
კომისიის შეფასება - 30 ქულა

კომისიასთან წარდგენისთვის აუცილებელია სტუდენტს ჰქონდეს მინიმუმ 15 ქულა ხელმძღვანელის შეფასებაში, ხოლო რეცენზენტის შეფასებაში მინიმუმ 20 ქულა. საბაკალავრო ნაშრომის დადებითად შეფასებისთვის კომისიის შეფასება უნდა იყოს არანაკლებ 16 ქულა.

ექპერტთა მიერ საბაკალავრო ნაშრომების გაცნობისას, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი. გამოიკვეთა საბაკალავრო ნაშრომების სისუსტე, რაც გამოიხატება იმაში, რომ კვლევის მეთოდები სუსტად ან საერთოდ არაა შერჩეული. საბაკალავრო ნაშრომების გაფორმების სტილი არაა სტანდარტიზებული, რაზეც ინფორმაცია არ ჰქონდათ სტუდენტებს. ასევე, არ ჩანს ხელმძღვანელის როლი კვლევის განხორციელების პროცესში და შესაბამისად შეფასებაც ბუნდოვანია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აღწერა,
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კურსების სილაბუსები,
- საბაკალავრო ნაშრომის დაცვის წესი,
- ექსპერტთა გასაუბრება უნივერსიტეტის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებსა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალთან.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსების გადახედვა გადაფარვების თავიდან აცილების, ლიტერატურის განახლებისა და შეფასების კრიტერიუმების კონკრეტიზაციის მიზნით, **რეკომენდებულია,** პრაქტიკის კურსის სილაბუსის გადახედვა, შუალედური და დასკვნითი შეფასების პროცესის კონკრეტიზაცია. პრაქტიკის ხელმძღვანელის როლის ზუსტი განსაზღვრა პრაქტიკის კურსის მიმდინარეობისას, **რეკომენდებულია,** საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების განახლება. კვლევის მეთოდებსა და ნაშრომის გაფორმების სტილზე აქცენტირება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		V		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამა ცდილობს, რომ შექმნას მაქსიმალურად სტუდენტზე მორგებული გარემო, როგორც სასწავლო პროცესის, ისე ექსტრა-კურიკულური აქტივობების მიმართულებით. პირველ რიგში, პროგრამით დაინტერესებული სტუდენტებს კავკასიის საერთაშორისო უნივერისტეტის ვებ-გვერდზე შეუძლიათ, დეტალურად გაეცნონ პროგრამას, კრედიტების განაწილებას საგნების მიხედვით და სემესტრულად, ასევე ადმინისტრაციული პროცესებს. ეს ინფორმაცია არის საჯარო და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია სანდო ინფორმაციის მიღება. სტუდენტებს შეუძლიათ, სასწავლო პროცესში გაიარონ კონსულტაციები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან. საკონსულტაციო საათების მთავარი მიზანია, რომ სტუდენტებმა მიიღონ დეტალური ინფორმაცია და რეკომენდაციები სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. ასევე, ადმინისტრაცია ეხმარება სტუდენტებს მაქსიმალურად მათზე მორგებული სასწავლო განრიგის შედგენაში. მიუხედავად ამისა, სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად აღმოჩნდა, რომ ისინი არც თუ ხშირად მიმართავენ კონსულტაციებისთვის პროფესორებსა თუ ადმინისტრაციას. სასწავლო პროცესის დიჯიტალიზაციის მიმართულებით უსდ იყენებს ელექტრონულ სასწავლო პლატფორმა “გონს”, რომელითაც სტუდენტებს შეუძლიათ საკუთარი სასწავლო განრიგის შედგენა, პროფესორების შეფასებების მიღება, კურსის შეფასებების გასაჩივრება. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სტუდენტებს დავალებების შესრულებისა თუ სასწავლო მასალების მისაღებად შეუძლიათ მიმართონ ბიბლიოთეკას, დაჯავშნონ წიგნი ან მოითხოვონ მისი ელექტრონულ ფორმატში გადმოგზავნა. ასევე, საბაკალვრო ნაშრომის შესრულებისას პროფესორები უზრუნველყოფენ, რომ ნაშრომმა გაიაროს პლაგიატზე შემოწმება. ამისთვის უსდ იყენებს URKUND-ის პროგრამა, რომელიც ამოწმებს სტუდენტის საბაკალავრო ნაშრომში პლაგიატის წილს. უსდ სასწავლო პროცესში ხშირად იყენებს გამოკითხვებს. სტუდენტებს ყოველწლიურად და სემესტრულად ეძლევათ შესაძლებლობა შეაფასონ სასწავლო პროცესი და პროფესორები ელექტრონული სასწავლო პლატფორმა “გონის” საშუალებით. კარიერული განვითარების მიმართულებით უსდ სტუდენტებს სთავაზობს სხავადასხვა შესაძლებლობას. უსდ-ს სხვადასხვა არასამთავრობო თუ სამთავრობო ინსტიტუტებთან აქვს

გაფორმებული მემორანდუმი დასაქმებისა და სტაჟირების შესახებ. დამსაქმებლები აღნიშნავენ, რომ კმაყოფილები არიან სტუდენტების უნარებითა და ცოდნით. უსდ ცდილობს მაქსიმალურად შეინარჩუნოს ურთიერთობა კურსდამთავრებულებთან და ხელი შეუწყოს როგორც მათ, ისე აქტიური სტუდენტების განვითარებას, რაც გამოიხატება იმაში, რომ რამდენიმე დამსაქმებელი უსდ-ს კურსდამთავრებულია.

მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კურსდამთავრებულების გამოკითხვას ატარებს დასაქმების მიმართულებით, რაც საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს გაანალიზოს სტუდენტთა საჭიროებები და მოთხოვნები და ასევე, სთავაზობს მრავალმხრივ შესაძლებლობას პრაქტიკის მიმართულებით, მწირია ისეთ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რომლებიც უშუალოდ სპეციალობით დაასაქმებენ საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სტუდენტებს. კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან გასაუბრების შედეგადაც გამოიკვეთა, რომ უმრავლესობა დასაქმებულია სხვა სპეციალობით.

უსდ აქტიურად მუშაობს ენების სწავლების მიმართულებით. სტუდენტებს, რომელთაც არ აქვთ ინგლისური ენა ჩაბარებული ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ეძლევათ შესაძლებლობა, რომ გაძლიერებულად ისწავლონ. ასევე, უსდ სთავაზობს სტუდენტებს უფასოდ შეისწავლონ პოლონური და ესპანური ენები.

უსდ აქტიურად მუშაობს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით და ცდილობს მოიძიოს სხვადასხვა პარტნიორები ქვეყნის გარეთ და შექმნას მრავალფეროვანი შესაძლებლობები სტუდენტებისთვის. უსდ არ არის ჩართული ერასმუს + - ის სტუდენტურ გაცვლით პროგრამაში, მაგრამ აქტიურად მიმდინარეობს მზადება პროგრამაში ჩასართავად, რათა სტუდენტებს მიეცეთ მეტი შესაძლებლობა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად. ამჟამად უსდ პარტნიორობს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, როგორებიცაა: ლომის უნივერსიტეტი და ვიტაუტას მაგნუსის უნივერსიტეტი. სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პარტნიორების სიმწირის გამო, ბევრს არ ეძლევა შესაძლებლობა გაცვლით პროგრამებში მიიღოს მონაწილეობა.

გარდა სპეციალობის გაცვლითი პროგრამებისა უსდ აძლევს სტუდენტებს შესაძლებლობას ენების გაძლიერების მიზნით საზაფხულო სკოლებშიც მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა პარტნიორ უნივერსიტეტებში, რომელშიც სტუდენტთა ჩართულობა გაცილებით მაღალია.

უსდ აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საელჩოებთან, როგორებიცაა ირანისა და პოლონეთის საელჩო. სწორედ მათთან პარტნიორობის შედეგად უსდ ატარებს საერთაშორისო კონფერენციებს კონკრეტული კონცენტრაციით (მაგ., ირანისტიკის მიმართულებით). ამასთანავე უსდ-ს ორგანიზებით ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო კონფერენცია. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი აქტიურად იღებენ მონაწილეობას აღნიშნულ კონფრენციებში. მიუხედავად ამისა, სტუდენტები ნაკლებად იღებენ მონაწილეობას უნივერსიტეტის გარე აქტივობებში მონაწილეობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ელექტრონული პლატფორმა “გონი”,

- უსდ-ს ვებ-გვერდი: https://ciu.edu.ge/,
- ექპერტთა გასაუბრება უნივერსიტეტის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებსა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალთან,
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აღწერა,
- მემორანდუმები დამსაქმებლებთან,
- საერთაშორისო მემორანდუმები პარტნიორებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- უსდ-მ უფრო აქტიურად შესთავაზოს სტუდენტებს კარიერული განვითარების მიმართულებით სხვადასხვა შესაძლებლობები მათი **სპეციალობიდან** გამომდინარე,
- საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობისთვის სტუდენტების ჩართულობის წახალისება და დროული ინფორმირება,
- უსდ-ს გარე აქტივობებში სტუდენტების ჩართულობის წახალისება,
- სპეციალობის გაცვლითი პროგრამების მხრივ უფრო აქტიური მუშაობა უსდ-ს მხრიდან,
- საკონსულტაციო საათების მიზნობრიობაზე აქტიური კომუნიკაცია და სტუდენტების წახალისება, რომ ეფექტურად გამოიყენენ ეს დრო.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი *საბაკალავრო პროგრამა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტით არ ფასდება.*
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	V			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
• პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; • პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; • პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდა არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში; • პროგრამის სტუდენტები სამივე უზრუნველყოფილები არიან უნივერსიტეტის მიერ სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ, უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდება კონკურსის წესით, რომლის კრიტერიუმებია: კვალიფიკაცია, სამუშაო გამოცდილება, ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აკადემიური ნაშრომები, სამეცნიერო კონფერენციებში, გრანტებში, ტრენინგებში მონაწილეობა. კონკურსში გამარჯვების შემთხვავაში ფორმდება სამუშაო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესატყვისად. დღეისათვის პროგრამაში ჩართულია 27 აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი (4 პროფესორი, 22 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტი); მოწვეულია 16 ლექტორი. პროგრამას ახორციელებს აფილირებული 4 პროფესორი და 19 ასოცირებული პროფესორი.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვას და შეესაბამება პროგრამის აქტიური სტუდენტების რაოდენობას. ლექტორებისა და სტუდენტების ბალანსი განაპირობებს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის ხელმძღვანელი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში. მისი კვალიფიკაცია დასტურედება სფეროში სამუშაო გამოცდილებითა და აკადემიური აქტივობით. ის აქტიურადაა ჩართული პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და გარდაქმნის პროცესში; თვალს ადევნებს სტუდენტთა კმაყოფილებასა და მათ აკადემიურ მოსწრებას. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა ხელშეწყობილია უსდ-ს ადმინისტრაციისა და პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აძლიერებს პროგრამას პერიოდიული მონიტორინგით. პროგრამას ემსახურება როგორც ადმინისტრაციული, ისე დამხმარე პერსონალი. მათ შორის ფაკულტეტის დეკანი და აკადემიური პროცესის მართვის სპეციალისტები. პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, აკადემიური პროცესის მართვის პსეციალისტი სტუდენტს ეხმარება მიიღოს სრული ინფორმაცია სწავლების პროცესის, ექსტრაკურუკულური აქტივობებისა თუ სხვა ფორმატის ღონისძიებების შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი მაქსიმალურადაა მოტივირებული შექმნას სტუდენტისათვის კომფორტული სასწავლო გარემო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ აკადემიური პერსონალის CV-ები, ○ აკადემიური პოზიციის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი, ○ ლექციების/სემინარების/პრაქტიკული მეცადინეობის შესაფასებელი გამოკითხვის ფორმები, ○ ინტერვიუები ხარისხის სამსახურის თანამშრომლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ ხარისხის სამსახურის აქტიური ჩართულობა პროგრამის მონიტორინგის პროცესში, ○ კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების რეგულარულად ჩატარება.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
• დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; • უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მუშაობის ხარისხი პერიოდულად მოწმდება ხარისხის სამსახურის მიერ. სოციოლოგიის ფაკულტეტზე შეფასების რამდენიმე მექანიზმი ფუნქციონირებს: ლექციებზე ხარისხის სამსახურის დეპარტამენტის თანამშრომლის დასწრება და სპეციალური გამოკითხვის ფორმის შევსება. სტუდენტთა ნებაყოფლობითი ანონიმური გამოკითხვა ყოველი სემესტრის ბოლოს. შეფასების დასრულების შემდეგ, ხარისხის სამსახური წერს დასკვნას შემუშავებული რეკომენდაციებით და აცნობს მას პროგრამის ხელმძღვანელს ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად. ამასთან, უკანასკნელს მოეთხოვება გაარკვიოს ხარვეზის გამომწვევი ფაქტორები და კონკრეტული მექანიზმებით იზრუნოს მის გამოსწორებაზე. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების პროცესში ჩართულია ფაკულტეტის დეკანიც დადგენილი კრიტერიუმების შესატყვისად.

უსდ მუდმივად ზრუნავს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კვლევითი საქმიანობის წასახალისებლად, ეხმარება მათ ფინანსურად საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად. უსდ-ს სამეცნიერო კვლევითი დეპარტამენტი გასცემს შიდასაუნივერსიტეტო გრანტებს კვლევებზე (გამსაკუთრებული პრიორიტეტი ენიჭება კვლევით პროექტბს, რომელშიც კვლევითი უნარების შეძენა/განვითარების მიზნით ჩართულები არიან სტუდენტები), უცხოენოვანი წიგნების თარგმნაზე; აფინანსებს აკადემიური პერსონალის მიერ შექმნილი მონოგრაფიების გამოცამაზე, რომელიც შემდგომ გამოიყენება სწავლის პროცესში. (**რეკომენდებულია,** სახელმძღვანელოდ გამოსაყენებელმა მონოგრაფიებმა გაიაროს არამხოლოდ ქართველი, არამედ უცხოელი სფეროს სპეციალისტის რეცენზირება. აღნიშნული ქმედება გაზრდის ნაშრომის ვალიდურობას.). უსდ-ში მოქმედებს წარმატებული პედაგოგისა და მკვლევარის ფინანსური წახალისების სისტემა. პრემია - „თამარის“ ერთი კატეგორიით ჯილდოვდება ახალგაზრდა მკვლევარი.

უსდ, ფაკულტეტი და წარმოდგენილი პროგრამა იყენებს ფართო ინტერნაციონალიზაციის ქსელს და სურვილის შემთხვევაში სრულად ან ნაწილობრივ აფინანსებს აკადემიური პარსონალის მონაწილეობას საერთაშორისო აქტივობებში (კონფერენცია, ტრენინგი, ფორუმი და სხვა).

უსდ თავადაცაა ჩართული უნივერსიტეტის ბაზაზე საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზების პროცესში. კონფერენციები ეწყობა როგორც აკადემიური პერსონალისათვის, ისე სტუდენტებისთვის. უსდ-ს აქვს აკადემიური სამეცნიერო ჟურნალი, რომელშიც იბეჭდება კონფერენციის მასალები და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო სტატიები.

უნივერსიტეტის ისევე, როგორც პროგრამის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად და პროგრამის უფრო ეფექტიანად გასახორციელებლად, პერიოდულად ტარდება სწავლების მეთოდოლოგიისა თუ სილაბუსის შედეგენისა და სხვა დანიშნულების ტრენინგები (სილაბუსების სწორად შედგენის შესწავლის მიზნით ბოლოს ამგვარი ტრენინგი ჩატარდა აპრილში).

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ყოველმხრივ უზრუნველყოფს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას და გამოყოფს შესაბამის ფინანსებს, რაც მკაფიოდაა ასახულია უსდ-ს ბიუჯეტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში,
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების წესები,

- ფაკულტეტისა და პროგრამის ბიუჯეტი,
- აკრედიტაციის ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები,
- სამეცნიერო ჟურნალი, კონფერენციის მასალები,
- უსდ ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, სახელმძღვანელოდ გამოსაყენებელმა მონოგრაფიებმა გაიაროს არამხოლოდ ქართველი, არამედ უცხოელი სფეროს სპეციალისტის რეცენზირება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

წარმატებული პედაგოგისა და მკვლევარის ფინანსური წახალისების სისტემა (მაგ. პრემია - „თამარის“ ერთი კატეგორიით ჯილდოვდება ახალგაზრდა მკვლევარი).

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

შეფასება

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ პროგრამის სტუდენტებსა და პერსონალს უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიებით, სტუდენტური სივრცეებით, საკონფერენციო

დარბაზებითა და სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურით. ონლაინ სწავლების პირობებში უსდ-მ სტუდენტებს შეუქმნა საჭირო პირობები - სტუდენტების გამოკითხვის შედეგების მიხედვით იგეგმება სასწავლო პროცესი (ონლაინ სწავლება/სწავლების ჰიბრიდული მოდელი), ონლაინ ლექციები იწერება ვიდეოების სახით და მიეწოდება სტუდენტებს. უსდ-მ უზრუნველყო ულიმიტო Zoom-ის გამოყენება სასწავლო პროცესში.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პოლონური და ირანული ოთახები. პოლონეთისა და ირანის საელჩოების ხელშეწყობით იმართება საერთაშორისო კონფერენციები. მოხსენებები იბეჭდება ორენოვან ჟურნალში. ამავე საელჩოების დახმარებით, სტუდენტები წახალისებული არიან შეისწავლონ პოლონური და სპარსული ენები და გაიძლიერონ ენის ცოდნა ენის კურსებით პოლონეთისა და ირანის უნივერსიტეტებში. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებამ აჩვენა, რომ ისინი დაინტერესებული არიან და აქტიურად ირჩევენ როგორც პოლონურ, ისე სპარსულ ენებს, მონაწილეობენ კონფერენციებში და სარგებლობენ გაცვლითი პროგრამებით აღნიშნულ სახელმწიფოებში.

უსდ-ს ბიბლიოთეკა აღჭურვილია ყველა საჭირო ნივთითა თუ ტექნიკით. ბიბლიოთეკაში გამოყოფილია სივრცე სტუდენტთა ჯგუფური მუშაობისათვის, საჯარო სემინარი/ლექციების ჩატარებისათვის, სტუდენტთა და პროფესორთა კვლევითი მუშაობისათვის. ონლაინ სწავლების პირობებში ბიბლიოთეკამ უზრუნველყო საჭირო წიგნების გაციფრება. უსდ-ს მემორანდუმი აქვს გაფორმებული პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, ბიბლიოთეკათა ქსელთან და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს წიგნების მოტანასა და გაციფრებას.

მე-7 სემესტრის ბოლოს ხდება საბაკალავრო თემების არჩევა/გადანაწილება. ბიბლიოთეკას ეგზავნება აუცილებელი წიგნების ნუსხა. ბიბლიოთკაში წიგნის არქონის შემთხვევაში, ხდება მისი მოძიება საქართველოს მაშტაბით ან შეკვეთა/ყიდვა ონლაინ.

უსდ-ს ვებგვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი. პროგრამის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურიდან შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული ლიტერატურა (წიგნები, რიდერები) ბიბლიოთეკაში იძებნება. უსდ-ს ბიბლიოთეკა სტუდენტებსა და პერსონალს სთავაზობს სამეცნიერო ელ - ბაზებზე **(EBSCO Publishing, Cambridge Journals, Royal Society Publishing, Edward Elgar Publishing, Sage Journals** და სხვა თავისუფალი წვდომის ჟურნალები) წვდომას. ონლაინ სწავლების პირობებში სტუდენტებს აქვთ ბაზებზე დისტანციურად წვდობის საშუალება (მაგალიტად, **EBSCO**-ს ბაზაზე წვდომისათვის სტუდენტს ეგზავნება პაროლი ონლაინ). სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელმა და აკადემიურმა პერსონალმა გააძლიეროს მუშაობა სტუდენტების წასახალისებლად, რათა მათ აქტიურად გამოიყენონ

აღიშნული ბაზები. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებამ არ აჩვენა, რომ ისინი იყენებენ ელ-ბაზებს. ბიბლიოთეკა სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა სერვისებს: ინდივიდუალური კონსულტაცია, ჯგუფური კონსულტაცია, ტრენინგი, ბიბლიოთეკათშორისი მომსახურება. უსდ ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლიათ როგორც სტუდენტებსა და პერსონალს, ასევე კურსდამთავრებულებს. უსდ ვებგვერდზე დეტალურად არის გაწერილი საბიბლიოთეკო სარგებლობის რეგულაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უსდ-ში განხორციელებული ონლაინ ვიზიტი, • მემორანდუმები, • https://ciu.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: **სასურველია,** პროგრამის ხელმძღვანელმა და აკადემიურმა პერსონალმა გააძლიეროს მუშაობა სტუდენტების წასახალისებლად, რათა მათ აქტიურად გამოიყენონ აღიშნული ბაზები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამას აქვს საკუთარი ბიუჯეტი. წარმოდგენილი ბიუჯეტი ძირითადად ივსება სტუდენტთა სწავლის გადასახადით. პრობლემის შემთხვევაში, უსდ გამოყოფს დოტაციურ თანხებს. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი გათვალისწინებულია შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ხელფასები, სასწავლო რესურსი, კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო სტატიები, კურიკულუმს მიღმა აქტივობები, სტიპენდიები/შეღავათები. კვლევით გრანტები გათვალისწინებულია როგორც პროგრამის, ისე ფაკულტეტის ბიოჯეტში. წიგნების, თარგმნისა და გამოქვყნების ხარჯების ნაწილს ფარავს უსდ. პროგრამის ბიუჯეტი შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს და განაპირობებს პროგრამის მდგრადობას. უსდ-ს გამოყოფილი აქვს თანხები კვლევითი პროცესის წასახალისებლად და მხარდასაჭერად. უნივერსიტეტის შიგნით ფუნქციონირებს შიდასაგრანტო სისტემა, რომლის ერთ-ერთი მიმართულებაა სტუდენტთა კვლევით პროექტებში ჩართვა. ლექტორთა და სტუდენტთა დაფინანსებას ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძებებში მონაწილეობისათვის უზრუნველყოფს პროგრამაც, ფაკულტეტიც და უსდ-ც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • აკრედიტაციის ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები, • ფაკულტეტისა და პროგრამის ბიუჯეტი, • https://ciu.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

შეფასება: V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	V			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის განვითარების პროცესში უმნიშვნელოვანესი დატვირთვა აქვს სასწავლო პროცესისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უწყვეტი ფუნქციონირების რეჟიმში ახორციელებს წარმოდგენილი აკადემიური პროგრამის მონიტორინგს და სრულყოფას, აკადემიური და კვლევითი აქტივობების ხარისხის უზრუნველყოფას, საგანმანათლებლო

და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატურ შეფასებას.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები ექვემდებარება შემდეგ პრინციპს: „დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე“ რაც გულისხმობს შემდეგს: თავდაპირველად ხდება პროგრამის შემუშავება, დგინდება მისი შესაბამისობა საუნივერსიტეტო მოთხოვნებთან და მისიასთან;

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებამდე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროფესორ–მასწავლებელთა გამოკითხვას ატარებს იმის დასადგენად, თუ რამდენად შეესაბამება სასწავლო კურსებისათვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა (შესაბამისად, საათების რაოდენობა), მის შესასწავლად რეალურად საჭირო დროს და სტუდენტთა რეალურ დატვირთვას. ამ მიზნით, ლექტორებს ევალებათ გააკეთონ სასწავლო კურსით გათვალისწინებული ყოველი თემის საათობრივი გათვლა, სტუდენტისათვის საჭირო დროის (საკონტაქტო და დამოუკიდებელი) მიხედვით. რასაც ადასტურებს ლექტორებთან ინტერვიუები.

დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ უსდს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები არ არის უნიფიცირებული, თითოეული კურსი ზუსტად იმდენ კრედიტიანია, რამდენი დროც (საკონტაქტო+დამოუკიდებელი/ 25–ზე, გამოსახული კრედიტებში) სჭირდება მის შესწავლას.

უსდში უკვე შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა შემდგომი განხილვისათვის გადაეცემა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას საუნივერსიტეტო და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან.

უსდს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ვიზირების შემდეგ პროგრამა განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება აისახება შესაბამის ოქმში, რის საფუძველზეც გამოიცემა დადგენილება პროგრამის დამტკიცების შესახებ. რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით, ხარისხის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმღვანელთან გასაუბრებებით.

პროგრამის ამოქმედების შემდეგ, მისი ფუნქციონირების პროცესში ხდება პროგრამის განხორციელების შეფასება; შეფასების შედეგების გათვალისწინებით მიმდინარეობს პროგრამის მოდიფიცირება.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც რამდენიმე ეტაპს მოიცავს.

მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტების მიერ ხდება არა მარტო სასწავლო კურსის სილაბუსებისა და პროფესორ–მასწავლებელთა შეფასება სპეციალური კითხვარებით, არამედ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირების მიზნით, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან ერთად სისტემატურად აფასებს საგანმანათლებლო პროგრამას და ახდენს მონიტორინგს.

უსდ-ში არსებობს პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გამოკითხვის სპეციალური ფორმები, შეფასების კითხვარები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება გამოკითხვის პროცესში.

გამოკითხვის დასრულების შემდეგ ხდება შედეგების გაანალიზება და რეკომენდაციების შემუშავება, რაც შემდგომში აისახება როგორც სასწავლო კურსების, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფის პროცესშიც.

გამოკითხვისა და შეფასების შედეგები ეცნობება პროფესორ-მასწავლებლებს.

სისტემატურად იმართება შეხვედრები და დისკუსიები საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა – გაუმჯობესების, სწავლების მეთოდებისა და მეთოდოლოგიის სრულყოფის, უახლესი ლიტერატურითა და სასწავლო მასალებით ბიბლიოთეკის უზრუნველყოფისა და უცხოეთის გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ყველა სიახლე აისახება სასწავლო კურსების სილაბუსებში, რაც იწვევს სილაბუსების მოდიფიცირებას.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება-მონიტორინგი მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში.

შედეგების ანალიზი ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს კითხვარი ასევე კურსდამთავრებულთათვისაც, რომელიც მიზნად ისახავს გამოიკვლიოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებითა და სწავლის შედეგებით კურსდამთავრებულთა კმაყოფილების ხარისხი, დაადგინოს პრობლემები არსებობის შემთხვევაში და საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს პროგრამაში სათანადო ცვლილებები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს კითხვარი დამსაქმებლებისთვისაც, რომელიც მიზნად ისახავს გამოიკვლიოს დამსაქმებლების მიერ დასაქმებული კურსდამთავრებულების ცოდნისა და უნარების, ღირებულებების კომპეტენციებით მათი კმაყოფილების ხარისხი, მიიღოს დამსაქმებლებისგან საჭირო რჩევები და რეკომენდაციები, რომლებიც შემდგომში გათვალისწინებული იქნება პროგრამაში ცვლილებების შეტანისას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, იყენებს რა ზემოაღნიშნული გამოკითხვის შედეგებს, აქტიურად მონაწილეობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში.

პროგრამის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება გაწერილი კრიტერიუმების შესაბამისად.

სასწავლო პერიოდში სისტემატურად ხდება სწავლების ხარისხის შიდა შეფასება.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტთან და შესაბამის ფაკულტეტთან ერთად სისტემატურად აწარმოებს ლექციებზე დასწრებას მეცადინეობების მონიტორინგისა და ხარისხის შეფასების მიზნით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, აქტიური დასწრება ახალ ლექტორებთან.

ორგანიზაციულ საკითხებთან ერთად (რეგისტრაციის გავლა, მეცადინეობის დროული დაწყება, განხილული თემის შესაბამისობა სილაბუსში მოცემულ სასწავლო გეგმასთან და სხვ.), მოწმდება პროფესორის/ლექტორის სხვადასხვა კომპეტენციები, როგორც დარგობრივი, ასევე სწავლების მეთოდებისა და მეთოდოლოგიის გამოყენების კუთხით.

პროცესი გამჭვირვალეა და გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

პროგრამაში ჩართული პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების კრიტერიუმების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პრიოდულად ახორციელებს კვლევებს პერსონალის საჭიროებების გამოსავლენად, რაც დასტურდება პროგრამის ხელმღვანელთან, პერსონალთან გასაუბრებებით.

სისტემატურად ტარდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა, რომლის მიზანია პერსონალის კმაყოფილების კვლევა და საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორების გამოვლენა/ გაუმჯობესება, რაც დასტურდება პერსონალთან გასაუბრებით.

ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლენილი აკადემიური პერსონალის სხვადასხვა საჭიროებების შესაბამისად, მათ უტარდებათ სხვადასხვა ტიპის ტრენინგი, მაგალითად: სულ ახალახანს მოწვეულ პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგი სწავლების მეთოდების ახალი მიდგომების დანერგვასთან მიმართებით.

ამ საკითხის გარემო საინტერესოდ ისაუბრა პერსონალმა, რომელთა თქმით, ადმინისტრაცია ხელს უწყობს მათ კვლევით პროექტებზე მუშაობას, რისთვისაც სთავაზობს სხვადასხვა ტიპის წახალისების მექანიზმებს, მაგალითად: უსდში არსებობს პრემია "თამარი", ასევე ცხადდება კონკურსი-ახალგაზრდა მეცნიერთა წახალისების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფა და პროგრამის მართვა ხორციელდება დამტკიცებული რეგულაციების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს ყველა პროცესის მიმდინარეობის სიზუსტეს და გამჭვირვალობას.

პროგრამის განვითარების პროცესში გაანალიზებული და გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები.

ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების მიზნით, ყოველი სემესტრის ბოლოს ხორციელდება სტუდენტთა მიერ მიღებული ქულების სტატისტიკური ანალიზი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ეფექტიანობის მართვა";
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- აკადემიური პროცესის მართვის სამსახურის დებულება;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის სპეციალური ფორმები (ანკეტა-კითხვარებით საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსის, პროფესორის, სილაბუსის და ა. შ. შეფასების შესახებ);
- პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული ანგარიშები
- საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები,
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს - გარე შეფასების მექანიზმებს: ავტორიზაციას და აკრედიტაციას, რომელსაც ახორციელებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. შესაბამისად, პროგრამის განხორციელებისას უსდ ითვალისწინებს მიღებული შეფასების შედეგებს და რეკომენდაციებს. პროგრამის განხორციელებისას პროგრამის ხარისხის გარე შეფასების მიზნით, პროგრამა შეფასდა პოტენციური დამსაქმებლებისა და დარგში დასაქმებული სპეციალისტების მიერ. შეფასების პროცესში მათ მიერ გადაიხედა პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კურსების თანმიმდევრობა და სემესტრული განაწილების შეფასება, სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები, სასწავლო კურსებისთვის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი სამუშაო საათების რაოდენობა. შეფასების შედეგად მიღებული შედეგები გაანალიზდა პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის შემუშავებაში ჩართული პერსონალის მიერ, რაც დასტურდება დამსაქმებლებთან გასაუბრებით: ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ დამსაქმებლების მიერ ინიცირებული და პროგრამის განხორციელებლებისათვის შეთავაზებული კურსები აისახა პროგრამაში, თუმცა ეს რეკომენდაციები მოხვდა არჩევითი კურსების ბლოკში. აღსანიშნავია, ისიც, რომ დამსაქმებლების შეთავაზება - პროგრამაში კვლევის კომპონენტის გაძლიერების მიმართებით, წარმატებით აისახა პროგრამაში და საბაკალავრო ნაშრომი გახდა სავალდებულო-10 კრედიტიანი. ასევე, ხარისხის ამაღლების მიზნით კოლეგები აფასებენ ერთმანეთის მუშაობას, ესწრებიან ერთამანეთს, უზიარებენ შთაბეჭდილებებს და მიღებული ინფორმაციის ანალიზის

საფუძველზე აყალიბებენ პროგრამის განვითარების ხედვას და მიდგომებს. აყალიბებენ ზუსტ მიმართებებს, რაც განსაზღვრავს პროგრამის აქტუალობას და შემდგომ ეტაპზე სწორი განვითრების პრიორიტეტებს. ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, უსდ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული კოლეგების მიერ იყენებს კოლეგიალურ განმავითარებელ შეფასებას. საერთაშორისო ურთიერთობების მოდიფიცირებული პროგრამის შემუშავების პროცესში, პროგრამის შეფასება მოხდა ორი გარე ექსპერტის: სეუს საერთაშორისო საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელის აკაკი აბზიანიძისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელის ავთანდილ კიკნაძის მიერ. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი შეფასებები არ შეიცავს არც ერთ რეკომენდაციას და რჩევას, შესაბამისად, შემფასებლები სრულიად იზიარებენ პროგრამის წარმოდგენილ ვერსიას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ დამსაქმებლებისა და დარგის სპეციალისტების გამოკითხვის შედეგები და რეკომენდაციები, ○ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის გარე ექსპერტთა შეფასებები, ○ გასაუბრების/ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: **სასურველია,** პროგრამის განვითარებისა და გარე შეფასების პროცესში არა მარტო ქართველი, ასევე უცხოელი ექსპერტებისგანაც იყოს მიღებული გარკვეული შეფასებები, მით უფრო რომ უნივერსიტეტს აქვს საკმაოდ მრავალფეროვანი საერთაშორისო კონტაქტები და მემორანდუმებით განსაზღვრული ურთიერთობები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება:

V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საზოგადოების, ბაზრისა და კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა განიცდის მუდმივ შესაბამის ცვლილებებს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კონტროლისა და რეკომენდაციების მიცემის გზით ახორციელებს პროგრამების ხარისხის თანდათანობით გაუმჯობესებას და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოვებას.

აღსანიშნავია, რომ პროგრამული შეფასებით გაანალიზებულია პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები,

შიდა შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემდეგი ინსტრუმენტებით: აკადემიური პერსონალის გამოკითხვები, სტუდენტთა მიერ პროგრამების, ლექტორებისა და კურსების შეფასების კითხვარები, აკადემიური პერსონალის მუშაობის წლიური ანგარიში. რაც დასტურდება სტუდენტებთან, ლექტორებთან გამოკითხვებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შიდა შეფასებებს სტუდენტების კმაყოფილების კვლევის დადგენისა და საგანმანათლებლო პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობის შესახებ. აღნიშნულს ადასტურებს სტუდენტების გამოკითხვა, სადაც იკვეთება, რომ სტუდენტების შეხედულებები მაქსიმალურად არის გათვალისწინებული პროგრამის შემუშავების პროცესში.

პროგრამის მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ხარისხის უზრუნველოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად განსაზღვრავს პროგრამისთვის აკადემიური და მოწვეული პერსონალის საჭიროებას, ფაკულტეტთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან ერთად ახდენს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სასწავლო კურსისთვის საჭირო კვალიფიკაციასთან შესაბამისობის გადამოწმებას, ესწრება და აფასებს ლექტორის ვაკანტურ პოზიციაზე კანდიდატის საჩვენებელ ლექციებს, მონაწილეობს კანდიდატის აყვანასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში. რაც დასტურდება ლექტორებთან ინტერვიუს პროცესში - გასაუბრებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველი სემესტრის ბოლოს უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასებას კითხვარების საშუალებით (გამოკითხვა სტუდენტთა ელექტრონული ბაზის მეშვეობითაა შესაძლებელი).

რაც დასტურედება სტუდენტებთან ინტერვიუების საფუძველზე.

პროგრამის მონიტორინგის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სპეციალურად შედგენილი კითხვარების მეშვეობით ახდენს:

1. სტუდენტების მიერ სასწავლო კურსის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას ყოველი სემესტრის ბოლოს;
2. აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამის შეფასებას;
3. კურსდამთავრებულთა გამოკითხვას;
4. პოტენციურ და რეალურ დამსაქმებელთა გამოკითხვას;
5. დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ პროგრამის შეფასებას.

უსდ-ს გაწერილი აქვს შეფასების პროცესის ეტაპები: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების პროცედურები. რაც დასტურდება უსდს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და გასაუბრებებით.

საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისა და მხარდაჭერის მიზნით, პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს უნივერსიტეტის ბიუჯეტი.

უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, უნივერსიტეტის პროფესორთა კვლევითი საქმიანობის და სტუდენტთა მიერ სამეცნიერო–კვლევითი ხასიათის ნაშრომების მაღალი ხარისხით შესრულების ხელშეწყობაზე, უნივერსიტეტის პროფესორ–მასწავლებელთა ნაშრომების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა–დაბეჭდვაზე, რაც დასტურდება პერსონალის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოებით, რიდერებით.

პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას აკეთებს ფაკულტეტის დეკანიც, დადგენილი კრიტერიუმებისა და ფორმების შესაბამისად.

სტუდენტი თავისი პროფილის განსაზღვრისას, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აღმოჩენილი პრობლემების მოგვარებისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად საჭირო ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას იღებს ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისგან.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის შეფასების მიზნით მზადდება ჩატარებული სრული საქმიანობის ანგარიშები.

მიღებული გამოკითხვის შედეგები, სწავლის შედეგების შეფასების და შედეგების ანალიზის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება პროგრამის ხელმძღვანელს, ფაკულტეტის ადმინისტრაციას და შესაბამისად, მათთან ერთად განიხილება საჭირო შესატანი ცვლილებები. რაც დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების გამოკითხვებით.

2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრიდან ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტში შემუშავდა ელექტრონული სწავლების წესი. ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სამსახურის მიერ პროფესორ-მასწავლებელთათვის მომზადდა საინფორმაციო ტიპის ვიდეო გაკვეთილები, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავდა აკადემიური და მოწვეული

პერსონალის, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ახალი ფორმები, რომელთა გამოყენებითაც მოხდა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა, შედეგების ანალიზი და შეფასება. გარდა ამისა, ელექტრონული სწავლების პროცესში, სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისა და შუალედური და დასკვნითი გამოცდების უხარვეზოდ ჩატარების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი იყო სარეკომენდაციო პაკეტი. რასაც ადასტურებს შესაბამისი დოკუმენტაცია, ინტერვიუები. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება უნივერსიტეტში მიმდინარეობს მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში. რაც დასტურდება ლექტორებთან ინტერვიუს პროცესში - გასაუბრებით. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ განვითარების პროცესში მოხდება უცხოური უნივერსიტეტების პროგრამებთან დადარება და ანალოგიების გაცნობა, კურიკულუმის განვითრება საუკეთესო პრაქტიკების გაზიარების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, ○ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, ○ სტუდენტთა სწავლის შედეგების მონიტორინგის მექანიზმები და ანალიზი, ○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები (პსშ), მოქმედი პროგრამისთვის, ○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში მოქმედი პროგრამისთვის, ○ მოდიფიცირებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები (პსშ), ○ მოდიფიცირებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, ○ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი პროგრამის განვითარების მიზნით და შედეგების გამოყენების ანგარიში, ○ „ელექტრონული სწავლების წესი“, ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, ელექტრონული სწავლების პროცესის შესაფასებლად შემუშავებული დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის ფორმები, ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული ანგარიშები, ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევა ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებით, ○ ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია გააქტიურდეს სტუდენტების ჩართულობა საერთაშორისო დონეზე - ევროპულ უნივერსიტეტებში მობილობის მიმართულებით (მაგ. ერაზმუს+ პროექტის ფარგლებში უსდმ ხელი შეუწყოს სტუდენტების გაცვლითი პროექტებში ჩართვას), ასევე, კარგი იქნება პროგრამის განვითარების პროცესში აქტიურად მოხდეს მათი კურიკულუმის უცხოური უნივერსიტეტების პროგრამებთან დადარება და ანალოგიების გაცნობა საუკეთესო პრაქტიკების გაზიარების მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	V			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 59

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	V			
2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		V		
3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	V			
4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	V			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	V			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ნინო ფავლენიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის:

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ფიქრია ასანიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა: ირმა ქურდაძე.

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ნუცა წამალაშვილი